

მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციულ- ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში

(კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)

ანოტაცია

მიწის რესურსების მართვის სრულყოფა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული, უმთავრესი სადღეისო ამოცანაა.

ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში მიწის რესურსების გამოყენებას სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან სათანადო ყურადღება არ მიეცა - მიწის პრივატიზაცია დარღვევით ჩატარდა; მიწის ფართობები წვრილ კონტურიან ნაკვეთებად დაქუცმაცდა; მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშავდებოდა.

1990-2019 წლებში მდგომარეობა გაუარესდა - ნათესი ფართობი 495 ათასი ჰექტრით, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი კი 201 ათასი ჰექტრით შემცირდა; პრივატიზებული ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგისტრირებული არ არის; მიწის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები არ ხორციელდება; ქვეყანაში მიწის ბალანსი არ დგება; მკვეთრად დაცვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა; დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდა სასურსათო უსაფრთხოება; ქვეყნის აგრარული ბაზრის 70-75% იმპორტირებულ პროდუქციას უჭირავს; სოფლის მოსახლეობის რიცხოვნებამ მნიშვნელოვნად იკლო.

მიწის რესურსების გამოყენებაში არსებული პრობლემები მრავალმხრივმა სუბიექტურმა და ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობეს. უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა ახალი გამოწვევების შესაბამისად, კომპლექსურად და თანმიმდევრულად არ ხორციელდება; მაკროეკონომიკური პოლიტიკა მოსწყდა მიკროდონეს; ობიექტურად არა გაცნობიერებული რეგიონული და დარგობრივი თავისებურებებიც; კოოპერაციული საქმიანობა სუსტად მიმდინარეობს; მწარმოებლურობის დონე დაბალია; მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი გამართულად არ მუშაობს.

მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური



ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

და ეკოლოგიური წანამძღვრების მომზადების დაჩქარებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ საკვანძო ელემენტებს, როგორიცაა მინათმონყობა, მიწის კონსოლიდაცია, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა, სახელმწიფო პროტექციონიზმის თავისებურებანი.

ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე მიწის კოდექსის, მიწის კადასტრის, მიწის რესურსების გამოყენების სტრატეგიის შემუშავებისთვის წინადადებები (რეკომენდაციები) და მათი განხორციელების მიმართულებები.

კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისთვის აუცილებელია გარღვევის სტრატეგია, რომელიც იმპორტჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქციის ზრდის მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: მიწის რესურსები, მიწის კონსოლიდაცია, მიწის კოდექსი, მიწის კადასტრი, მინათმონყობა, სტრატეგიული დაგეგმვა, პროგნოზირება, სახელმწიფო პროტექციონიზმი, იმპორტჩანაცვლება.

PECULIARITIES OF FORMATION OF ORGANIZATIONAL-ECONOMIC MECHANISM OF LAND RESOURCES MANAGEMENT IN GEORGIA (CONCEPTUAL-METHODOLOGICAL APPROACH)

Nodar Chitanava

Doctor of Economics, Professor

ANNOTATION

Improving the management of land resources is a strategic, major task for the political and socio-economic development of the country.

During the transformation of the national economy, the use of land resources was not given due attention by the state and society - land privatization was carried out in violation of the law; Large plots, mechanized, intensive land areas of specialized farms were fragmented into thin contour plots; A significant part of the land was not cultivated.

The situation worsened in 1990-2019 - the sown area was reduced by 495 thousand hectares, the area of perennials was reduced by 201 thousand hectares; A significant portion of privatized areas are not registered; No measures are taken to protect the land and increase fertility; There is no land balance in the country; The volume of agricultural production fell sharply; Food security was at great risk; 70-75% of the country's agrarian market is occupied by imported products; The number of people living in the village has decreased significantly.

Problems in the use of land resources have been caused by many subjective and objective factors. The main reason is that the agrarian policy of the state is not implemented in a complex and consistent manner in accordance with the new challenges; Macroeconomic policy failed to consider the micro level; regional and sectoral peculiarities are not taken into consideration as well; Cooperative activities are weak; Productivity levels are low; The organizational and economic

mechanism of management does not work properly.

In order to accelerate the preparation of favorable socio-economic and ecological guidelines for the rational and efficient use of land resources, special attention should be paid to such key elements as land organization, land consolidation, land use forecasting and planning, and the features of state protectionism.

The paper presents proposals (recommendations) for the development of a land code, land cadastre, strategy for the use of land resources on the relevant conceptual-methodological basis and directions for their implementation.

To get out of the crisis, a breakthrough strategy is needed, which will be focused on the implementation of targeted programs of import substitution and growth of export products.

Keywords: land resources, land consolidation, land code, land cadastre, land organization, strategic planning, forecasting, state protectionism, import substitution.



მიწის რესურსების მართვის თავისებურებანი

მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების ფაქტორი მრავალ ფუნქციას ასრულებს. ტერმინი „მიწა“ - გულისხმობს ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც განისაზღვრება ისეთი ცნებებით, როგორიცაა სივრცე, რელიეფი, კლიმატი, ნიადაგის საფარი, მემცენარეობა, ნიადაგის ფენა, წყალი; მიწა სოფლისა და სატყეო მეურნეობებში წარმოადგენს წარმოების მთავარ საშუალებას. ასევე, ეკონომიკის და სოციალური სფეროს სწავლებისა და ორგანიზაციებისათვის წარმოების სივრცობრივი ბაზისია.

თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის მიწის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ამოცანაა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მიწის რესურსების მართვას მრავალნაზნაგა თავისებურებანი გააჩნია; კერძოდ, იგი მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა სახის მიმართულებებს. ამიტომ მიწის რესურსების მართვა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ მიწის გამოყენების პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე სისტემური, გაცნობიერებული და მიზანმიმართული ზემოქმედებაა.

სპეციალურ ლიტერატურაში საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედებებში მიწის რაციონალურად გამოყენების შემდეგი ასპექტები გამოიყოფა:

- „ბუნებრივ-ბიოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია მიწის, როგორც ბუნებრივი კომპლექსისა და მცენარეთა და ცოცხალი ორგანიზმის გარემოს კომპონენტის ფუნქციონირების შესწავლასთან;

- სოციალურ-ეკონომიკური, რომელიც გამოხატავს მიწის, როგორც რესურსის ეკონომიკური თვალსაზრისით გამოყენებაზე სოციალური პროცესებისა და სახელმწიფოს პოლიტიკის, საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობების გავლენას;

- ტექნოლოგიური, რომელიც დაკავშირებულია მიწაზე, მისი გამოყენების ტექნოლოგიაზე ტექნიკური ზემოქმედების შესწავლასთან;

- სამართლებრივი (იურიდიული), რომელიც დაკავშირებულია მიწის რაციონალურად გამოყენების, მისი დაცვის ორგანიზებასა და განხორციელებაში სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის როლისა და მნიშვნელობის შესწავლასთან“.

მიწის რესურსების მართვა კომპლექსური ხასიათისაა, რის გამოც მისი პრობლემების მიმართ აუცილებელია სისტემური მიდგომა.

მეცნიერებასა და პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია სამგვარი მეთოდი:

1. მართვის ეკონომიკური მეთოდი ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკურ კანონებსა და სამყაროს (ბუნება და საზოგადოება) განვითარების კანონზომიერებებს. აღნიშნული მეთოდი გამოხატავს პიროვნების, კოლექტივის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს;

2. მართვის ორგანიზაციულ-განმკარგულებელი (ადმინისტრაციული) მეთოდი - დაფუძნებულია მეურნეობრიობისა და მართვის ყველა დონეზე ადამიანების ეფუძნება და პასუხისმგებლობაზე;

3. მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი - ეფუძნება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ზნეობრივი პრინციპების - მიწისადმი დამოკიდებუ-

ლების, ცხოვრების არსის, საზოგადოებაში ზნეობრივი საწყისის, პიროვნებისადმი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და განვითარებას.

ზემოაღნიშნული მეთოდები ურთიერთგანპირობებულობითა და ერთმანეთთან ურთიერთქმედებით ქმნიან ერთიან სისტემას.

მიწის რესურსებს მეცნიერების მრავალი დარგი სწავლობს. ასევე, შესაბამის პოლიტიკას - მართვის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ-მმართველობით, პოლიტიკურ და სხვა ფუნქციებს (საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით) სხვადასხვა ინსტიტუციები ახორციელებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის დაფიქსირებული ყველა ნიშან-თვისება, რომელიც მიწას, როგორც რესურსს, სხვა რესურსებისაგან განასხვავებს.

მიწა - როგორც ბუნებრივი რესურსი, ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტია. ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, მათ შორის, ნიადაგის თავისებურებაზეა დამოკიდებული წარმოების მასშტაბი და სეზონურობა, რაც განაპირობებს პროდუქციის გამოშვებასა და მუშაკების დასაქმებაში წვევტილობას. შემოსავლების ოდენობა კი მხოლოდ წარმოების სრული ციკლის შემდეგ დგინდება. წარმოების კონცენტრაცია დამოკიდებულია მიწის ფართობების ზომაზე, ხოლო სპეციალიზაცია განისაზღვრება ბუნებრივი პირობებით. ამ თავისებურებას, როგორც მეცნიერებაში, ასევე პრაქტიკაში, ხშირად ანგარიშს არ უწევს. აღნიშნულის შედეგი განსაკუთრებული სიმძაფრით საბაზრო პრინციპებზე გადასვლის პროცესში გამოვლინდა.

მიწის რესურსების მართვაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ტერიტორიის სიმაღლეების მიხედვით განაწილების თავისებურება.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია შემდეგ სურათს იძლევა: ტერიტორიის 29% მდებარეობს 0-დან 600 მეტრამდე, 17,1% - 600-დან 1000 მეტრამდე, 39,7% - 100-დან 2200 მეტრამდე, 13,6% - 2200-დან 3500 მეტრამდე, 0,6% კი - 3500 მეტრზე ზემოთ.

ქვეყნის ტერიტორიის 53,6% მთაზე მოდის, 33,4% - მთის წინეებზე. ბარის ტერიტორიას უჭირავს 13%, სახნავი ფართობის 10%-მდე განლაგებულია 10⁰ მეტ დაქანებაზე. ერთ მლნ ჰექტარ მიწას მენყერები და ღვარცოფები აზიანებს. ქვეყანაში აღრიცხულია 10 ათასზე მეტი მენყერი, 1000-მდე ღვარცოფიანი აუზი.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება ქმნის ერთმანეთისგან განსხვავებულ ზონებსა და მიკროზონებს. ეს გარემოება საფუძვლად უდევს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სქემას, რომელიც 13 ზონასა და 8 ქვეზონას აერთიანებს; აქედან 5 სამთო ზონაა.

მიწის (ნიადაგის) დაცვის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ეროზიული პროცესების, ნიადაგის გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანების, მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო ნიადაგის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდი რაოდენობით ნიადაგი იკარგება.

1980 წლის მონაცემებით, ეროზია განვითარდა ქვეყნის 300 ათასი ჰექტარი მიწის ფართობზე, აქედან: - წყლისმიერ ეროზიას 200 ათასი, ქარისმიერ ეროზიას 100 ათასი ჰექტარი განიცდიდა. მე-20 საუკუნის ბოლოს ეროზიული იყო 1 მლნ ჰექტარზე მეტი, მათ შორის: - 360 ათასი ჰექტარი სახნავი მიწები, 547 ათასი ჰექტარი საძოვრები.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს 476 საბადო, რომლებსაც დაკავებული აქვთ 1,4 ათასი ჰა ფართობი. 1997 წლისათვის საკულტივაციო ფართობი 20 ათასი ჰექტარი იყო. 1984 წლიდან სასარგებლო ნიადაგის მოსაპოვებლად და თიხის კარიერების, ინერტული მასალების ამოსაღებად 1000 ჰექტარია გამოყოფილი. საზოგადოებრივი მშენებლობას 2550 ჰა მიწის ფართობი ეთმობა. რელიეფის ტრანსფორმაციას ინვესტს სამთო-მოპოვებითი ობიექტები, რომლებიც ღია კარიერული წესით მუშავდება.

1 მლნ ჰექტარი მიწის ფართობი მინდორსაცავი ტყის



ზოლებით დაცვას მოითხოვს, რისთვისაც საჭიროა 20 ათასამდე ჰექტარი ტყის ზოლი (სავარგულის 2%).

ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა მეორადი დაჭაობება (იგი დაახლოებით 60 ათას ჰექტარზე მეტია); დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების საერთო რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 360 ათას ჰექტარს.

მიწის რესურსების ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს დედამიწის ქერქში და მის ზედაპირზე წარმოქმნილი სტიქიური პროცესები (მიწისძვრები, მენყერები, კლდე-ზვავები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები და სხვ.). თუ გასული საუკუნის 40-იან წლებისთვის ქვეყანაში აღრიცხული იყო 200-მდე მენყერი, 1960 წელს ეს ციფრი 3000-მდე გაიზარდა, 2006 წელს - 53500-მდე. დაფიქსირებული მენყერების 70% სამეურნეო-საინჟინრო ათვისების ზონებშია მოქცეული. მათგან სხვადასხვა ხარისხით დაზიანებულია 1,9 მლნ ჰექტარი. მენყერების საშიშროების ზონებშია 2000-მდე დასახლებული პუნქტი (200 ათას კაცზე მეტი მოსახლე). სპეციალისტების დასკვნით, ღვარცოფული საშიშროების არეალში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 2 მლნ ჰექტარი ფართობი.

აღნიშნული მონაცემები მოწმობენ იმას, რომ სტიქიურ-კატასტროფული მოვლენების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად საჭიროა მათზე მუდმივი დაკვირვება, პროგნოზირების ძლიერი მექანიზმი და კომპლექსური ღონისძიებების თანამიმდევრულად განხორციელება.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მეორე პროგრამის (2014-2022 წლები) მიხედვით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელებას (პროგრამაში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად ტერიტორიებად მიჩნეულია კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი. მოწყვლად რეგიონებად - კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი), უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისათვის.

ამრიგად, დასამუშავებლად ვარგისი საქართველოს ტერიტორიის ზედაპირის მოსაწესრიგებლად, როგორც ეროზიული და აკუმულაციური პროცესების აღკვეთის, ასევე დაშლილ-დარღვეული მიწების ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციისთვის დიდძალი და შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინების გარეშე ქვეყნის მიწის რესურსების სრულად, ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებისა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვა შეუძლებელია.

მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების ეფექტიანი ფუნქციონირება. მოქმედი კანონის შესაბამისად, დაცული ტერიტორიების შექმნა ნიშნავს ქვეყნის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნების და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად სივრცის შემოფარგვლას. ფაქტობ-

რივად, დაცული ტერიტორიები მიწის რესურსების მართვის მრავალფუნქციური, უნიკალური მნიშვნელობის ობიექტებია, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის ექსკლუზიურ წვლილს სამყაროს მდგრადი განვითარებაში.

მიწის რესურსების რაციონალურად, ეფექტიანად და მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით სისტემატურ ყურადღებას საჭიროებს მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტენდენცია, რომელიც სურსათზე მოთხოვნილების სწრაფად ზრდაში გამოიხატება. იგი, ბუნებრივია, აქტუალურს ხდის მიწის (ნიადაგის) რესურსების რაციონალურად გამოყენების ამოცანას. აქ განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების გადასვლას მდგრადი განვითარების მოდელზე. ამ დანიშნულებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ განსაზღვრული 5 სტრატეგიული მიმართულება:

- ✓ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, დაცვისა და შემდგომი ზრდის პირდაპირი ზომების მიღება და განხორციელება;
- ✓ სოფლად ცხოვრების პირობების დაცვა და გაუმჯობესება;
- ✓ სოციალური თანასწორობის და კეთილდღეობის, მოსახლეობის, ადგილობრივი საზოგადოების და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება;
- ✓ მართვის პასუხისმგებელი და ეფექტიანი სისტემის არსებობა.

ამ ხუთი მიმართულების განვითარება მოიცავს სამ მთავარ სფეროს - სოციალურს, ეკონომიკურს, ეკოლოგიურს და მოითხოვს მიწის რესურსების გამოყენებისადმი ახალ მიდგომას - იგი ნიადაგის, ზედაპირული და გრუნტის წყლების, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ადამიანის ცვალებად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უნდა ემსახუროდეს. ამასთან, ქმნიდეს გარანტიას, რომ შენარჩუნებული იქნება რესურსების პროდუქტიულობა და მათ მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში ეკოლოგიური ფუნქციების შესრულება.

საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, მიწის რესურსები იმართებოდა სოციალისტური სისტემის სამართლებრივ-ეკონომიკური ნორმებით, რომლებიც მიწაზე სახელმწიფო საკუთრებას ემყარებოდა. მიწის ფართობი მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ კოლმეურნეობებს, სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებს, მოქალაქეებს. მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (საცხოვრებელი სახლები და სხვ.), ასევე მრავალწლიანი ნარგავები და პირუტყვი მოქალაქეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლებოდა. მიწის რესურსების დიდი ნაწილი მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, საკარმიდამო მიწის ფართობი ცალკე გამოიყოფოდა. მიწის რესურსების მართვის ფუნქციებს ასრულებდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, - ფუნქციონირებდა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველო, საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციები. ავტონომიურ წარმო-

ნაქმნებში, ასევე, რაიონებსა და ქალაქებში მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის სამმართველოები, რომლებიც ყოველი წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით მოცემულ ტერიტორიაზე ადგენდნენ მიწის ბალანსს, რომელსაც (კრებსითი სახით) საბოლოოდ საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა.

1992 წლის 18 იანვარს საქართველოს დროებითმა მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ (საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N48). ამ დადგენილებით მიწა კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს გადაეცემოდათ. ქვეყანაში არსებული მიწები დაიყო სახელმწიფო მიწის ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად. დადგენილებით განისაზღვრა, რომ საკარმიდამო ფართობი შეიძლებოდა გადიდებულიყო (იმ დროს საშუალოდ შეადგენდა 0,26 ჰექტარს) 0,75 ჰექტრამდე, ხოლო მთაში - 3 ჰექტრამდე. ამ ნორმამდე შესავსები ფართობი კომლს კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემოდა. **ამრიგად, დადგენილება ითვალისწინებდა მოსახლეობისათვის უფადო სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთების 0,75 ჰექტრამდე შევსებას და შემდგომში მათ კერძო საკუთრებაში გადაცემას.** ასეთი გადაწყვეტილება სპონტანურად შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევებს პასუხობდა. დადგენილებით გათვალისწინებული იყო მიწაზე კერძო საკუთრების ფორმის დამკვიდრებისათვის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლების მომზადება და მათი პრაქტიკული განხორციელება. ამ მიზნით **ზემოაღნიშნული დადგენილებით შეიქმნა მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე).** ეს იყო პირველი დამოუკიდებელი სამსახური, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მიწის რესურსების სრულყოფილად გამოყენებისა და მიწის რეფორმის განხორციელებისათვის. **სამწუხაროდ, აღნიშნული დადგენილების შესრულება დაიწყო მასში რადიკალური ცვლილებების შეტანით.** 1992 წლის 10 მარტს შეიცვალა გასაცემი მიწის ზღვრული ნორმები. სოფელში მცხოვრები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებისათვის დაწესდა: ბარსა და ზეგანზე - 1,25 ჰა, მთაში - 5 ჰა; სოფლად მცხოვრები სხვა სფეროს მუშაკებისათვის - 0,75 ჰა - ბარსა და ზეგანზე, ხოლო მთაში - 5 ჰა. ქალაქის მცხოვრებლებს მიწის ფართი საკუთრებაში ბევრად ნაკლები განესაზღვრათ: საგარეუბნო ზონებში - 0,15 ჰა, ბარსა და ზეგანზე - 0,25 ჰა, ხოლო მთაში - 1 ჰექტრამდე. ასეთი გადაწყვეტილება თვითნებურად, სათანადო გაანგარიშებებისა და პროგნოზირების გარეშე მიიღეს, - „რეფორმატორთა“ ვოლუნტარისტული მიდგომით და მიზნობრივად, რათა დაეჩქარებინათ სასოფლო-სამეურნეო სანარმოების, როგორც „სოციალიზმის გადმონაშთის“, ლიკვიდაცია. შედეგმაც არ დააყოვნა: - მთავრობამ 1992 წლის 22 სექტემბერს მიიღო დადგენილება (N949) „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების,

კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სანარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“. ამ დადგენილებით სანარმოებს დაევალიათ, თვითონ განესაზღვრათ მეურნეობრიობის ფორმა და 1993 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირებულიყვნენ. „რეორგანიზაციის“ პროცესი თვითდინებით წარიმართა. ამ ფაქტმა სასოფლო-სამეურნეო სანარმოების გაუაზრებელი ლიკვიდაცია და ორგანიზაციულ-მმართველობითი სფეროს პარალიზება განაპირობა.

სტრატეგიული მნიშვნელობის მიწების და საზოგადოებრივი ქონების მიტაცებას მოჰყვა მსხვილი სამეკანიზაციო ფართობების წვრილ კონტურიან ნაკვეთებად დაქუცმაცება, მეცხოველეობის კომპლექსების განადგურება, მეთესლეობისა და სანერგე მურნეობების ლიკვიდაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის მოშლა, სარწყავი სისტემების მწყობრიდან გამოყვანა. მიწის რესურსები სახელმწიფო მართვის მიღმა დარჩა.

1996 წლის 13 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება (N488) „**მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ**“ და მის ძირითად ფუნქციად მიწის რესურსების მიზნობრივი გამოყენება და დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მიწის სახელმწიფო კადასტრი, ნიადაგის დაცვა განსაზღვრა. შეიქმნა მიწის მართვის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ივნისის N255-სმ, 67 ბრძანებულებით, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, აღნიშნული დეპარტამენტი გაუქმდა. მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს შორის.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 30 აგვისტოს (N693) ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია. ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ ქვეყანაში 2005 წლიდან მიწის ბალანსი არ დგება. სახელმწიფომ, ფაქტობრივად, დაკარგა მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ფუნქცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნით (2004 წელი) გარკვეულწილად მოწესრიგდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესი, რომელიც ამჟამადც მიმდინარეობს და ნავარაუდევია, უახლოეს 3 წელიწადში დასრულდეს.

2019 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, რომლის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების ანალიზი ადასტურებს, რომ მიუხედავად 30 წლიანი გარდაქმნებისა, მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალება, ფაქტობრივად, სახელმწიფო



მართვის (რეგულირების) მიღმა დარჩა. ამას თავისი მიზეზები აქვს:

პირველი - პრობლემა მრავალმხრივია, - მოიცავს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, რეგიონულ, სოციალურ, ორგანიზაციულ-მმართველობით ასპექტებს;

მეორე - მიწის, როგორც წარმოების ფაქტორისადმი, სახელმწიფოს დამოკიდებულების მკვეთრად შეცვლა ექსტრემალურ პირობებში, მაშინ, როცა მიწისადმი თვისებრივად ახალ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებისა და განმტკიცების ისტორიული და საგანგებო მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტის სპონტანურად შექმნილი საერთაშორისო ვითარება, თავად ფორმირებადი სახელმწიფო (პოსტსაბჭოთა ხელისუფლება) მზად არ აღმოჩნდა სწორად გაეცნობიერებინა მისი, როგორც პოლიტიკური სუბიექტისა და ეროვნული სიმდიდრის მესაკუთრის ფუნქციები (მიწა, ისე როგორც წარმოების სხვა საშუალება, სახელმწიფო საკუთრებაში იყო);

მესამე - ისტორიული გარემოებების გამო, 90-იან წლებში ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებისა და განვითარების პროცესს „ქუჩა“ მართავდა. საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა „რევოლუციურ ალტყინებას“ მხარი დაუჭირა და ქვეყანაში ეკონომიკის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების სრულად მოშლის (პარალიზების) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ახალ ეკონომიკურ (საბაზრო) სისტემაზე გადასვლის პროცესიდან სახელმწიფო ინსტიტუტები გვერდზე გადგნენ და საბაზრო სტიქიის კანონებით გაგრძელდა ტრანსფორმაციული პროცესების „რეგულირება“. ეს მაშინ, როცა იმ პერიოდში ჩატარებული გამოკვლევებით დასაბუთებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების მაორგანიზებელი როლი მოსალოდნელ გარდაქმნებში. განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ თეზისი „პროცესების თვითღინებაზე მიშვებისას ბუნებრივად მოხდებოდა საბაზრო მექანიზმების დანერგვა (მე-18

საუკუნის სმიტისეული „უხილავი ხელის“ პრინციპებით) და ეკონომიკური აღზევება“, არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ლიბერალიზაციის პროცესს ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან რეგულირება სჭირდებოდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსტიტუტები არასწორად გაგებულმა ლიბერალიზაციის რთულმა პროცესებმა შთანთქა. ეს ყველაზე სრულად მიწის პრივატიზაციის შედეგებზე აისახა;

მეოთხე - არ იქნა გათვალისწინებული ქვეყნის შიდა პრობლემების გადაწყვეტის პირობებში საგარეო ფაქტორების გამოყენების თავისებურებები. გარდამავალ ეტაპზე აღინიშნა განსაკუთრებული მოვლენა - გეოეკონომიკის „მთვლემარე“ მდგომარეობიდან გამოცვლის პირველი შედეგი - ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის („ტრასეკა“) და ენერგეტიკული დერეფნის ამოქმედება. ამით საქართველომ შეიძინა უნიკალური ფუნქცია, რომელიც სახელმწიფოს მხრივ გლობალური პროცესების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად რეგულირებას ხელს შეუწყობს. სამწუხაროდ, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების (ინტეგრაცია) შესაძლებლობას, როგორც ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ რესურსს საქართველო არაეფექტიანად იყენებს. 2019 წელს იმპორტი 4-ჯერ სჭარბობდა ექსპორტს. ეროვნული ეკონომიკა (განსაკუთრებით სასურსათო უზრუნველყოფა) ფაქტობრივად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოური საქონლის ინტერვენციის დღევანდელი დონე დიდი რისკების ქვეშ აყენებს ქვეყნის უსაფრთხოებას;

მეხუთე. განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ გარდამავალ ეტაპზე ეკონომიკური ცხოვრების სწორი ორგანიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური წარმმართველი როლის გარეშე. ამასთან, დაკონკრეტდა მისი მოქმედების შინაარსი - იგი ასრულებს კანონმდებლის, მესაკუთრის, ქვეყნის განვითარების პროცესის მაკოორდინირებელი რგოლის (სუბიექტის) ფუნქციებს (გარდამავალ ეტაპზე ახალი



სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების განსაზღვრელი ფაქტორის ეკსკლუზიურ ფუნქციას).

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირების საკითხებმა. კერძო საკუთრების დომინირებადმა მდგომარეობამ (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თითქმის 100%, სამრეწველო პროდუქციის 96% კერძო სექტორში ინარმოება) ვერ უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი განვითარება. განსაკუთრებით ეს აისახა სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის მკვეთრად შემცირებულ წარმოებაზე. ცალმხრივი (უფრო პოლიტიზებული) აღმოჩნდა მიდგომა, რომ მხოლოდ კერძო საკუთრებაა „წმინდა“. საკუთრებითი ურთიერთობათა პლურალიზმის ლოგიკის მიხედვით, საკუთრების ყველა ფორმა, მათ შორის, სახელმწიფო საზოგადოებრივი საკუთრებაც, ისეთივე წმინდაა, როგორც კერძო. **მთავარია, საკუთრების ყველა ფორმა (მათი კომბინაციის ყველა ვარიანტი) ემსახურებოდეს ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას.** ეს მრავალმხრივობით გამორჩეული ეკონომიკური განვითარების პროცესის ეფექტიან და მიზნობრივ რეგულირებას მოითხოვს. საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის სტიქიურობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საზოგადოებრივი პროგრესი, ხელი შეუწყო ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგებას, გააღრმავა დეინტეგრაცია, შექმნა სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციებზე უარის თქმის ფსიქოლოგიური გარემო, და, რაც ნიშანდობლივია, აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის განვითარების პროცესის რეგულირებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებისას მის ადგილს იკავებს ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც კრიმინალური ცნობიერებით წარმართავს განვითარების პროცესს.

მეექვსე - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის (პირველ რიგში მიწის გამოყენების) დღევანდელი მდგომარეობა იმის კარგი მაგალითია, თუ რა მოაქვს სახელმწიფოს

იმ პოლიტიკას, რომელიც შესაძლებლობათა მეცნიერული ანალიზის გარეშე ხორციელდება. პოლიტიკოსთა ინტუიციით, მეცნიერული აზრის იგნორირებით, ქვეყანა განვითარებაში დიდად ჩამორჩა. სახელმწიფოს დღესაც არა აქვს თავისი ფუნქციების შესასრულებლად არსებული მდგომარეობის დიაგნოზისა და შეფასების რეალური გზების განსაზღვრის შესაძლებლობა. არ გააჩნია შესაბამისი სამეცნიერო ბაზაც. არც ერთი სამეცნიერო და სახელმწიფო სტრუქტურა არ მუშაობს ეკონომიკის პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების პრობლემებზე.

ქართული ეკონომიკური და აგრარული მეცნიერების როლი ფაქტობრივად იგნორირებულია, რაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაშიც აისახა. ეს დოკუმენტი მიღებულია ქვეყანაში შექმნილი რეალური მდგომარეობის ობიექტურად შეფასების გარეშე, ეფუძნება არაკომპეტენტური სპეციალისტების ე.წ. ქრესტომათიულ დოგმებს და არასწორად გაგებული ლიბერალური მოდელის მოთხოვნებიდან ვერ გამოდის; იგი ეყრდნობა ფილოსოფიას - საჭიროა მხოლოდ ის, რაც სწრაფად გაიყიდება. მაგრამ მეცნიერების პროდუქცია - ცოდნა (ფუნდამენტური გამოკვლევები), რომელსაც მომავალში საზოგადოება უნდა დაეყრდნოს, დღეს არ იყიდება. ამ თავისებურებების გამო „საქონლის სახეს“ მხოლოდ პერსპექტივაში შეიძენს.

ამ მწარე გამოცდილებიდან ის დასკვნა გამოდის, რომ მეცნიერების განვითარება საბაზრო კონიუნქტურას არ უნდა მოვანდოთ.

განვლილ პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების ანალიზიდან ჩანს გარდაქმნების სახელმწიფო პოლიტიკის ცალმხრივობა, რომელიც ემყარებოდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის პრინციპებს და გულუბრყვილოდ მიიჩნევდა, რომ ფორმირებადი საბაზრო მექანიზმები განვითარებას თავადვე უზრუნველყოფდნენ. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: - ერთი უკიდურესობიდან - ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის

გაფეტიშების ნაცვლად, მივიღეთ მეორე - სახელმწიფო და საზოგადოება ფორმირებადი საბაზრო მექანიზმების ყოვლისშემძლეობის იმედით დარჩა. ამიტომ, ეროვნულ ეკონომიკაში შეიქმნა მოწადიებული წრე - ვერც საბაზრო მექანიზმები, ვერც სახელმწიფო სტრუქტურები ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებენ. ამიტომ, რომ სახელმწიფო ექსკლუზიურ ფუნქციას - ბიზნესს შეუქმნას განვითარების ნორმალური პირობები, დაიცვას იგი, ვერ ასრულებს. სახელმწიფოს მმართველი ელიტა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო მესაკუთრეა და მოხერხებულად ეგუება საბაზრო პრინციპებს, სახელმწიფოს სახელით აკონტროლებს საკუთარი ბიზნესის განვითარების „სტრატეგიას“, მფარველობს ჩრდილოვან ეკონომიკას, ამიტომ იგი, ფაქტობრივად, გამოდის როგორც ნეგატიური სოციალური და პოლიტიკური ძალა, რომელიც აფერხებს რეფორმებს, მაშინ, როცა რეალურად განსაზღვრავს ქვეყანაში კაპიტალის, საგარეო ვალების, საკრედიტო რესურსების გამოყენების, **სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის, საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებებს და სხვ.**

სახელმწიფოს ელიტა მოწყვეტილია რეალობას, - ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას; საბაზრო სუბიექტები ვერ ჩამოყალიბდნენ ფენად, რომელიც ეკონომიკური სისტემის სტაბილიზატორის როლს შეასრულებს; მცირე და საშუალო ბიზნესი სახელმწიფოსგან თანმიმდევრული მხარდაჭერით არ სარგებლობს. ამიტომ კლასიკური გაგებით, განვითარების სტაბილიზატორის როლს ვერ ასრულებს. ასეთი **მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საჭიროა სახელმწიფოს აქტიური სოციალური მიმართულებების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის ერთიანობას, ეკონომიკის განვითარების ტენდენციების ანალიზს, მსოფლიო სამეურნეო გამოცდილებას და ა.შ.** აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა - ეკონომიკური რეფორმები უნდა გაღრმავდეს, მატერიალური წარმოება მაღალი ტემპებით განვითარდეს და ეს რთული პროცესი სახელმწიფოს მაღალი კომპეტენციით წარმართოს. განვითარების პროცესზე ზეგავლენის მექანიზმი თანამედროვე მენეჯმენტის ფუნქციებს უნდა დაეფუძნოს, გარადქმნებში „ხერხემლის“ ფუნქცია საშუალო ფენამ უნდა შესარულოს. ასეთია ქვეყანაში ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების მეცნიერული ლოგიკა და პრაგმატული მოთხოვნა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დონეს მოწყვეტილია, უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი მიკრო დონის ინტერესები. ეს მაშინ, როცა მიკრო დონეზე წყდება სახელმწიფოს და ბაზრის სიმბიოზის ცენტრალური საკითხი - დოვლათის წარმოებაში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით რეგულირება.

ეკონომიკის განვითარების მაკრო და მიკრო დონეებს შორის ინფორმაციული ვაკუუმი გაჩნდა, რაც აფერხებს

საზოგადოებრივ პროცესს. ავიღოთ თუნდაც მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. 2014 წლის 1 იანვრისათვის მაკრო დონეზე დაფიქსირდა, რომ საქართველოს მოსახლეობა 4490,5 ათასი კაცი იყო. 10 თვის შემდეგ ჩატარებული აღწერით 3713 ათასი კაცი აღმოჩნდა. სასოფლო-სამეურნეო აღწერამ მოიცვა მხოლოდ 842 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც ოჯახურ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ჰქონდა; აქედან სახნავი 377 ათასი ჰექტარი. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო მიწის ბალანსის მიხედვით 2005 წელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენდა 3026,4 ათას ჰექტარს, მათ შორის სახნავი - 801,20 ათას ჰექტარს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ განსხვავება - სახელმწიფოს მიწებია. მათი გამოყენების შესახებ კი ინფორმაცია არ მოიპოვება. როგორც ჩანს, მაკროეკონომიკური პოლიტიკა (სახელმწიფო) ეკონომიკის მიკრო დონეს (პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი) მოწყვეტილია. სახელმწიფოს არა აქვს სრული ინფორმაცია ეროვნული სიმდიდრის (მიწის რესურსების) შესახებ.

ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების ზემოაღნიშნული თავისებურებები (ტენდენციები) გვიჩვენებენ, რომ რეფორმების წარუმატებლობის მიზეზებს შორის უმთავრესია ქვეყნის განვითარების პროგნოზირებისა და სტრატეგიული მართვის (დაგეგმვის), როგორც თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის, გაუცნობიერებლობა.

ამრიგად, მიწის რესურსების პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭიროა ადეკვატური მართვის სისტემის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციული სისტემა

მიწის რესურსების მართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის შემადგენელი ნაწილია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა მართვის არსებული სისტემა, თვისებრივად ახალი ფუნქციების შესრულების აუცილებლობის წინაშე დადგა.

წარსულის მემკვიდრეობიდან უკიდურესად მძიმე მდგომარეობა შეგვრჩა - მართვის უნივერსალური ფუნქციები (დაგეგმვა, ორგანიზაცია, კოორდინაცია, სტიმულირება, კონტროლი, აღრიცხვა, ანალიზი) სრულად იგნორირებულია. ყველა ეს ფუნქცია სოციალიზმის გადმონაშთად შეფასდა და მიწის რეფორმის სპონტანურად დაწყებული პროცესი თავად ფორმირებადი საბაზრო მექანიზმების იმედზეა მიმდოხლო.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მიწის მართვის მიზნები და ამოცანები უშუალოდ არის დამოკიდებული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოწყობაზე. მიწის რესურსების მართვის მიზნად აღიარებულია მათი რაციონალური, ეფექტიანი გამოყენება,

ბრუნვაში მოქცევა, დაცვა, საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მიწის ბაზრის განვითარება და, რაც არსებითია, სახელმწიფოს უსაფრთხოების მყარი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნა.

მიწის რესურსების მართვის 4 დონეს გამოყოფენ: **საერთო სახელმწიფო მართვა; დარგობრივი (უწყებრივი) მართვა; ადგილობრივი ორგანოების მართვა და კერძო (შიდასამეურნეო) მართვა.**

სახელმწიფო მართვა იყოფა საერთო სახელმწიფო-ებრივ და უწყებრივ (დარგობრივ) მართვად. საერთო სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქცია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საკუთრების ფორმებისა და მიწის კატეგორიების მიუხედავად, სახელმწიფო ორგანოებს აკისრიათ; დარგობრივ მართვას - სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები (სამინისტრო, კომიტეტი და სხვ.) ახდენენ; მიწის ადგილობრივი მართვა თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ; შიდასამეურნეო მართვას კი, მიწის მესაკუთრები და მოსარგებლენი ახორციელებენ.

მიწის მართვასთან დაკავშირებული თითქმის ყველა პრობლემა **მიწის რესურსების სახელმწიფოებრივი მართვიდან იღებს სათავეს.** ეს განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის საქართველოს მიწის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომელზეც უნდა აისახოს ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პირობები, განსაკუთრებით - მიწის უძრავი ქონების ობიექტად (მიწის ბაზრის განვითარების ამოსავალი პირობა) აღიარების მნიშვნელობა.

მიწის რესურსების მართვის სისტემა თავისი აგებულიებით რთული, ერთმანეთთან ეკონომიკური ინტერესებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვადასხვა იერარქიულ დონეზე ორგანიზაციული სტრუქტურებით დაკავშირებული მთლიანობაა. მიწის რესურსების გამოყენებაში არსებული მდგომარეობის მრავალმხრივი ასპექტების შესწავლა-ანალიზი გვიჩვენებს საფუძველს, განვაცხადოთ, რომ აუცილებელია თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების საერთო ტენდენციების გათვალისწინებით, ობიექტურად განისაზღვროს საქართველოსთვის მიწის რესურსების გამოყენებაში (მართვაში) სახელმწიფოს (მთავრობის) როლი.

ისტორიულად, მიწის რესურსების (ქვეყნის ტერიტორიის) გამოყენების პრინციპებს ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო აყალიბებს და შესაბამის ორგანიზაციულ სისტემას ქმნის. ამასთან, ანგარიშგასწავლია ის თავისებურება, რომ მიწის გამოყენება დაკავშირებულია სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ სფეროებთან. საერთოდ, ამ პრობლემის მიმართ მრავალფეროვანი ინტერესი არსებობს. გაეროს ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არცერთ ქვეყანაში არ არის ერთი ორგანო (სამინისტრო), რომელიც სრულად პასუხისმგებელია მიწასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ფინანსური და ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტაზე. ამის შედეგია ის, რომ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი წყვეტილია. მიწასთან დაკავშირებულ

პოლიტიკას წარმართავენ ფინანსთა, იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, ქალაქების განვითარების, გარემოს დაცვის და სხვა სამინისტროები, რომელთა მეშვეობით ისინი წყვეტენ საკუთარ ამოცანებს. პრობლემები კი ღრმავდება ადგილებზე, სადაც მიწათსარგებლობის უფლება პრაქტიკულად განისაზღვრება. აღნიშნული მოსაზრებები დასტურდება საქართველოს მაგალითზეც.

სახელმწიფო (მთავრობა) მიწის რესურსებს, როგორც წესი, საკუთარი პოლიტიკით (კონცეპტუალური მიდგომა, მეთოდოლოგია, ფინანსური მხარდაჭერა და სხვ.) მართავს. სახელმწიფოს პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების გამოყენებაში სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის კოორდინაციას. ეს რთული პროცესია. გარდამავალ პერიოდში მისი რეგულირება განსაკუთრებით ძნელდება და რიგი თავისებურებებით ხასიათდება. შექმნილი გარემოებების გამო, მიწათმონყობის პრინციპების განსაზღვრა და საერთოდ მიწის რესურსების მართვის საკითხები განიხილებოდა არა ობიექტური ანალიზით, არამედ, ცალკეული თანამდებობის პირთა სუბიექტური მოსაზრებებით. შედეგებმაც თავი იჩინა. კერძოდ, 2004 წელს ხელისუფლებამ გააუქმა „**მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი**“ და მისი ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებს ისე გადაუნაწილა, რომ მთავარი საკითხი - ვის შეეძინა მიწის ბალანსი - განსაზღვრულიც არ იყო. ამიტომ, 2005 წლის შემდეგ სახელმწიფოს მიწის ფონდმა თუ როგორი ცვლილებები განიცადა, შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებულიც არ არის.

საქართველოში მიწის რეფორმის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო (არის) არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. საყურადღებოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ მიიღო 1996 წელს, მაშინ, როცა მიწის პრივატიზაცია (ფაქტობრივად მიტაცება) ქვეყანაში დასრულებული იყო.

მიმდინარე ეტაპზე, მიწის რესურსების მართვაში, გამოიკვეთა სახელმწიფო და კერძო სექტორების როლის (მათი კოორდინაციის) პრობლემა. ეს ახალი მოვლენაა, რომელიც ყოველმხრივ ანალიზს საჭიროებს. მთავარია, მიწის რესურსების მართვის რიგი ფუნქციების შესრულებაში სწორად განისაზღვროს კერძო სექტორის როლი და მონაწილეობა. დასაშვებია, რომ საკადასტრო მომსახურება, პროგრამირება, ცალკეული პროექტების შედგენა, ტერიტორიის გადაღება, რუკების შედგენა, კადრების მომზადება (გადამზადება) და სხვა სამუშაოები შესრულდეს კონტრაქტებით ან, როგორც ბევრ სფეროში ხდება, ე.წ. ტენდერების მეშვეობით; კერძო სუბიექტებმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მათზე გაცემული ლიცენზიების ფარგლებში, შეასრულონ სპეციფიკური სამუშაოები (რესურსების მოძიება მარაგების განსაზღვრა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ექსპერტიზა, საზღვრების გამიჯვნა და სხვ.).

მიწის რესურსების მართვაში ერთ-ერთი კომპონენტია მიწის გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რომე-



ლიც მნიშვნელოვანი, ძვირადღირებული რესურსია და ეფექტიანი მართვა მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეიძლება.

სივრცობრივი მონაცემების ქსელის ფორმირება მიწის რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციები საფუძვლად უნდა დაედოს გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომ არსებული ინფორმაცია რეალურ სურათს უნდა იძლეოდეს. ამისათვის საჭიროა ინფორმაციების მოძიების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი ხელსაწყოების გამოყენება. ამჟამად ევროპის ქვეყნებში ინერგება „სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა“, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის უკეთესად განსაზღვრის, გადაწყვეტილებების მიღების და მომსახურების მიწოდების საშუალებას. ეს რთული საკითხია და იგი უნდა გადაწყდეს უწყებათაშორისი ინტერესების გათვალისწინებით.

მიწის რესურსების მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა გულისხმობს ინფორმაციის მიღებასა და მიწის რესურსების მართვის შესახებ ყველა დონეზე გადაწყვეტილებებისთვის გადამუშავებას.

განსხვავებულია თვით ინფორმაციის წყაროები. მათ შორის, კარტოგრაფიული მასალები, რეესტრები, ანგარიშები, კატალოგები, ენციკლოპედიები, ექსპერტების დასკვნები, სამეცნიერო გამოკვლევები, სტატისტიკური მონაცემები, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, საერთაშორისო სტრუქტურების რეკომენდაციები, დასვნები და სხვა. აუცილებელია ინფორმაციული სისტემა ხელს უწყობდეს ერთიანი ინფორმაციული სივრცის შექმნას, დაბეგვრის ბაზის გაფართოებას, საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, ტერიტორიის განვითარებას. ამ და სხვა რთული ამოცანების შესრულებას არსებული ინფორმაციული ბაზის მუდმივად განახლება სჭირდება. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მიწის რესურსების კომპლექსური მართვისათვის საჭიროა მიწის კადასტრული ინფორმაცია - სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილი.

ოდითგანვე სახელმწიფო, როგორც წესი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწის - ძირითადი ქონების - გონივრულად გამოყენებას. ამ რესურსის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების (მოქალაქის) დამოკიდებულებით (თუ როგორ, რა საშუალებებით და ეფექტიანად იყენებენ) აიხსნება ცხოვრების დონის დინამიკა, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, საერთოდ სახელმწიფოს იმიჯი.

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით, რომელიც მიწათსარგებლობას გააჩნია, ყალიბდება მთავარი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მიწის რაციონალურად გამოყენებას. მიწათსარგებლობის უნიკალური გამოცდილებიდან ჩანს, რომ მთავარია მიწათსარგებლობის მიზნების სწორად განსაზღვრა ქვეყნის განვითარების ეტაპობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში, როცა ძირითადი მიზნებია: **მიწის გამოყენების სამართლებრივი დაცვა; მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება (არსებითად მასზეა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების დონე); მიწის მდგომარეობის (ეკოლოგიური ასპექტი) გაუმჯობესება.**

იმისათვის, რომ ზოგადად ჩამოყალიბებული ეს ამოცანები შესრულდეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განვითარების ეტაპის თავისებურებების ადეკვატური კანონმდებლობა. ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა. ქვეყანას დღემდე არ აქვს „მიწის კოდექსი“, „მიწის კადასტრი“, არც კანონი „მიწათმონყობის შესახებ“, რომლებშიც მიწათსარგებლობის სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული საფუძვლები კომპლესურად იქნება წარმოდგენილი.

„მიწის კოდექსის“ მიღების აუცილებლობას განაპირობებს მიწის რესურსების გამოყენების მრავალფეროვნება (ბუნებრივი რესურსი, წარმოების ფაქტორი,

უძრავი ქონება, ადამიანის ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სივრცე (სივრცობრივი ბაზისი), მატერიალური ღირებულებებისა და სხვადასხვა ქონების განთავსების ადგილი, სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც ადასტურებს ქვეყნის იდენტურობას (მიწა სახელმწიფო სუვერენიტეტის მატერიალური საფუძველია) და სხვ.). ამასთან, გასათვალისწინებელია ის თავისებურებაც, რომ საადგილმამულო ურთიერთობებში სახელმწიფო ასრულებს როგორც პოლიტიკური სუბიექტის, რომელმაც უნდა არეგულიროს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა, ასევე მესაკუთრის ფუნქციებს. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის კოდექსის მიზნებისა და ამოცანების სწორად განსაზღვრას (იგი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს).

საქართველოს მიწის კოდექსში (მსოფლიო გამოცდილება აქვს ადასტურებს) უნდა აისახოს ფუძემდებლური პრინციპები (ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით), რომელთა დაცვა ქვეყნის ტერიტორიაზე სავალდებულოა.

მიწა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა - მისი არსებობის საფუძველი, რომლის დაცვა, მიზნობრივი (რაციონალური) გამოყენება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება (გადაცემა) სახელმწიფოსა და საზოგადოების მოვალეობაა.

მიწის დაცვა გულისხმობს ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნებას, მიწის - ბუნებრივი რესურსის, წარმოების ფაქტორის, ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო საქმიანობის სივრცის მიზნობრივად გამოყენებას, მიწაზე, როგორც უძრავ ქონებაზე უფლებების განსაზღვრას და დაცვას.

მიწის დაცვა კომპლექსური (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და ა.შ.) ღონისძიებებით, საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული პროგრამებით (პროგრამული მიდგომა) ხორციელდება და ეფუძნება ბუნებრივ სასოფლო-სამეურნეო დარაიონების (ტერიტორიის დაყოფა ბუნებრივ-საწარმოო პირობების მიხედვით) პრინციპს.

მიწის კოდექსში უნდა განისაზღვროს: ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების (მდგრადი განვითარების) პრინციპების დაცვის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური მიმართულებები; მიწაზე საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების თანაბარ უფლებიანი განვითარების პრინციპები, მესაკუთრეთა უფლებები, მოვალეობები, მიწის კატეგორიები და სახეები, მათი შეცვლის პირობები, მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციები, მიწაზე მონიტორინგის, მიწის კადასტრის წარმოების, მიწათმონყობის ორგანიზაციის პრინციპები. მიწათმონყობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ ღონისძიებათა სისტემის მიზნად უნდა განისაზღვროს საადგილმამულო ურთიერთობების რეგულირება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე მიწის გამოყენება და დაცვა, ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს შექმნა და ბუნებრივი ლანდშაფტების გაუმჯობესება, მიწის კადასტრის, როგორც სახელმწიფო გეოინფორმაციული

სისტემის (რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიწაზე, მის მიზნობრივ ხასიათზე, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მიწის ეკონომიკურ შეფასებას) წარმოების ნესი. კადასტრის წარმოების ხარჯები სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება;

მიწის კოდექსით დადგინდეს მიწის სახელმწიფო მონიტორინგი, რომელიც მოიცავს ყველა მიწას (მიუხედავად საკუთრების ფორმებისა), მასზე დაკვირვებას, შეფასებას, პროგნოზირებას იმ მიზნით, რომ მიწის მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია მოიპოვოს. მიწის მონიტორინგთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება სახელმწიფოს მიერ.

მიწის კოდექსში უნდა განისაზღვროს აგრეთვე სამართლებრივი პრიორიტეტებიც. საქართველოში, რომელიც მცირემიწიან და ბუნებრივი საწარმოო პირობებით განსხვავებულ ტერიტორიებს მოიცავს (დაქუცმაცებული ნაკვეთები, ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგების მრავალფეროვნება, წარმოების პროცესების მექანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობანი და ა.შ.), აუცილებელია, უპირატესობა მიწის რესურსების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებას მიენიჭოს, რაც განპირობებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებით.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნებიდან (ამოცანებიდან) გამომდინარე, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის გასხვისების საკითხს. მიწა, როგორც რესურსი, უძრავი ქონება, ყიდვა-გაყიდვის საგანია, რაც განსაზღვრავს მიწის ბაზრის განვითარების დინამიზმს, მასშტაბს (ისტორიულად ქართველი ხალხი მიწის უცხოელის მიერ მიტაცებას ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა. განსაკუთრებით გამწვავდა ეს საკითხი თანამედროვე პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი ოკუპირებულია). უფრო მიზანშეწონილია უცხოელს მიწა გადაეცეს საიჯარო ურთიერთობის საფუძველზე (გრძელვადიანი იჯარის პრინციპით). განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებში იჯარა მიწის ბაზრის გაფართოების აპრობირებული ფორმაა.

მიწის კოდექსში უნდა ჩაინეროს, რომ საქართველოში მიწაზე საკუთრების ფორმებია: კერძო, სახელმწიფო, სათემო (მთის ზონისათვის), საეკლესიო და განისაზღვროს მათთვის განვითარების თანაბარი პირობებიც (სამართლებრივი, ეკონომიკური). ამასთან უნდა დაფიქსირდეს, რომ მიწაზე საკუთრება არა მხოლოდ უფლებაა, არამედ ვალდებულებაც. მიწის მოვლა-პატრონობა, განსაკუთრებით დამუშავება (მისი ნაყოფიერების ზრდა) მიწის მესაკუთრის (ფიზიკური და იურიდიული პირის) მოვალეობაა (ეს მოთხოვნა მკაფიოდ დაფიქსირდა 2019 წლის საქართველოს კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვისას).

მიწის კოდექსში უნდა აისახოს მიწის კატეგორიების (სახეების) ცვლილებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმიც.

მიწის კოდექსში უნდა განისაზღვროს მიწის ფართობის ზომის (შეზღუდვის) საკითხიც. ასეთი გამოცდილება აქვს ბევრ განვითარებულ ქვეყანას. ახალ პირობებში

საიჯარო ურთიერთობების რეგულირების საკითხიც ქვეყნის მიწის რესურსების ეფექტიანობის ამაღლების პოზიციიდან უნდა განიხილებოდეს. აქ მთავარია დაცული იყოს მიწის მიზნობრივად გამოყენების პრინციპი და მიწის ფართობის ფასი ობიექტურად განისაზღვროს.

მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში სამართლებრივად უნდა განისაზღვროს მიწის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მიწის ყველა ფართობი სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტია. ამიტომ, ყველა კატეგორიისა და სახეობის მიწების სახელმწიფო რეგულირების სისტემა ერთიანი უნდა იყოს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მიწების სახელმწიფო რეგულირება არის დარგთაშორისი საქმიანობა.

განვიღწეოთ პერიოდმა გვიჩვენა, რომ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა სისტემატურ სრულყოფას (ახალი გამონგებების შესაბამისად ცვლილებებს) მოითხოვს: - მისაღება მიწის კოდექსი, მიწის კადასტრი, უნდა განისაზღვროს მიწათმონყობის წესი, 1994 წელს მიღებული კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, ასევე 2003 წლის კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ ახალი პირობების შესაბამისად უნდა განახლდეს და დაჩქარდეს ქარსაფრების შესახებ კანონის მიღება და ა.შ.

მიწის გამოყენებაში მონაწილე სუბიექტების საქმიანობის მიზნობრივად წარმართვისათვის ქვეყანაში (პრემიერ მინისტრთან) უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს შეთანხმებულ საქმიანობას, დააბალანსებს უწყებათა ინტერესებს, მიზნობრივად წარმართავს მიწის კონსოლიდაციის პროცესს, მოამზადებს დეცენტრალიზაციის გაღრმავების პირობებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის პარტნიორულ ურთიერთობებს, მიწის რესურსების შესახებ ინფორმაციის სრულად მოპოვებას.

გასათვალისწინებელია, რომ მიწის რაციონალურად გამოყენება სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებების (გეოგრაფია, ჰიდროლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია, ბიოლოგია, იურიდიული, ტექნიკური და სხვ.) მიჯნაზე ჩამოყალიბებული ღონისძიებათა სისტემა და ამიტომ მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა მეცნიერული კვლევების კომპლექსური ხასიათით განისაზღვრება. მოგვაჩნია, რომ თემატიკის განსაზღვრის ფუნქცია უნდა ჰქონდეს საქართველოს მეცნიერების ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს.

მიწის რესურსების მართვაში ცენტრალური საკითხია კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრების მომზადება, რისთვისაც უნდა შეიქმნას კადრების მომზადებისა და გადამზადების ერთიანი სისტემა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დამუშავდეს მიზნობრივი პროგრამები.

მიწის რესურსების რაციონალურად და მიზნობრივად გამოყენებისათვის უმთავრესია მართვის ეფექტიანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება.

მიწის რესურსების გამოყენების (მართვის) ორგანიზაციის საფუძველია სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომლის პრინციპები (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული), მასშტაბი, მიზნობრივი მიმართულებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი საწარმოო ძალების განვითარების დონე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში (პოსტსოციალისტური სივრცე) მიწათსარგებლობაში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების თავისებურებები და ტენდენციები. აღნიშნულ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) თვისებრივად შეიცვალა მიწათსარგებლობის მიზნები, პრინციპები, მეთოდები.

მიწის მართვაში გამოიყოფა სახელმწიფო, მუნიციპალური, საზოგადოებრივი და შიდასამეურნეო მართვა.



ამათგან უმთავრესია მიწის რესურსების სახელმწიფო მართვა, - ბუნებრივია, იგულისხმება მართვის ყველა ასპექტი (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ეკოლოგიური, საწარმოო და სხვა). მიწის რესურსების სახელმწიფოებრივ მართვას რიგი თავისებურებები გააჩნია. მაგალითად, სახელმწიფოს აქვს უზენაესი უფლება და მოვალეობა, მიწის რესურსების გამოყენებაში უზრუნველყოს როგორც სახელმწიფოს (მესაკუთრის), ასევე საზოგადოებისა და კერძო ინტერესების დაბალანსება. სახელმწიფო მართვის ფორმები და მეთოდები მრავალგვარია და სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გამოიკვეთა მიწის, როგორც უძრავი ქონების მართვის ფუნქცია.

განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. ამ ეტაპზე სახელმწიფო გამოდის არა მხოლოდ პოლიტიკური სუბიექტის როლში, არამედ მიწის 100% მესაკუთრე და, დროის მოთხოვნის შესაბამისად, მიწის რესურსების გამოყენებისა და მართვის თვისებრივად ახალი სისტემის ფორმირების უმაღლესი პოლიტიკური სტატუსით აღჭურვილი სუბიექტი. მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების პროცესი არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის/მესაკუთრის (მართვის ახალი სისტემის შემქმნელის) როლზე. ამიტომ, რომ თანამედროვე პირობებში კომპლექსურად განიხილება საერთოდ მართვის, მათ შორის მიწის, პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, სამართლებრივი, მეცნიერული ასპექტები. ამ უკანასკნელის როლი მნიშვნელოვნად იზრდება მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების (დასკვნების) შემუშავება-დანერგვაში, განსაკუთრებით - მიწის რესურსების მართვის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შეხამებაში.

აღნიშნული და განვითარების პროცესში ფორმირებადი პრობლემების გადანყვებას სჭირდება მიწის რესურსების მართვის ეფექტიანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი. **იგი რთული სისტემა და ამასთან, მიწის რესურსებზე ზემოქმედების ერთმანეთთან დაკავშირებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა მეთოდების, ინსტიტუტების სტიმულირების ფორმების ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება რესურსების მართვის სუბიექტებსა და ობიექტებზე მიზანმიმართული ზემოქმედება ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის.**

იგულისხმება, რომ მიზანი არის პოლიტიკური - საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, დოვლათის მიმართ წვდომა, ხოლო საშუალება - მიწის რესურსების პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება. მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრება ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის თითოეული ელემენტის (მეთოდის, ინსტრუმენტის) გამოყენების მიზანშეწონილობა. აღნიშნულ მექანიზმს უნდა მიეფუძნებოდეს **კომპლექსურად** (რეგულირება ეფუძნება სამართლებ-

რივ, ეკონომიკურ, საწარმოო, ორგანიზაციულ, სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ **შემადგენლობებს**); **დინამიურად** (იძლევა საშუალებას, გავითვალისწინოთ მოცემული დროის პირობები სიტუაციის მუდმივად გაუმჯობესების მიზნით); **ფუნქციონალურად** (რეგულირების პროცესის სუბიექტებისა და ობიექტების ურთიერთმოქმედება მმართველობითი გადანყვებითების მიღებისა და რეალიზაციისას).

მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური წინამძღვრების მომზადების დაჩქარებისათვის დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის, როგორც სისტემის, შემადგენელი ნაწილების (ელემენტების) მრავალფეროვნებაში გამოვყოთ მისი ისეთი საკვანძო ელემენტები, როგორიცაა - მიწათმონყობა (მიწის კონსოლიდაცია), მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა, სახელმწიფო პროტექციონიზმი მიწის რესურსების მართვის სისტემაში.

ამ ელემენტების ერთობლივად (შეთანხმობილად) და ერთმანეთთან ინტეგრაციულ კავშირში, ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე ამოქმედება წარმოების სხვა ფაქტორებს აამოძრავებს და ქვეყნის განვითარების მიზანმიმართულ პროცესს დააჩქარებს.

მიწათმონყობა - მიწის რესურსების გამოყენებისა და მართვის მთავარი ინსტრუმენტი

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპის თავისებურებებით განისაზღვრებოდა მიწათმონყობის პრინციპები, მეთოდები, ფუნქციები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში, ისე, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, წარმოიქმნა ახალი ტიპის (საბაზრო პრინციპებზე) მიწათმონყობის აუცილებლობა.

საბჭოთა პერიოდში, საქართველოში ფუნქციონირებდა მიწათმონყობის ერთიანი სისტემა: „მუშავდებოდა პროგნოზები, მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგრამები, სქემები, ტარდებოდა სამეურნეო-ბათაშორისო, შიდა სამეურნეო, სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო-საძიებო და სხვა ღონისძიებები მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მიზნით. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სქემები ძირითად შიდასაგეგმო და წინასაპროექტო მონაცემებზე იგებოდა. ობიექტის მიხედვით დგებოდა გენერალური და რეგიონული სქემები, რომელთა რეკომენდაციებიც შესაბამისი პროექტებით რეალიზდებოდა. მოწესრიგებული იყო მიწის აღრიცხვა“. ყოველი წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მინისტრთა საბჭო ამტკიცებდა მიწის ბალანსს. მიწის გამოყენებაში შეტანილი ცვლილებები მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა.

90-იანი წლებიდან თვისებრივად შეიცვალა მიწის რესურსების მართვის პრინციპები, მიწაზე საკუთრების ფორმაც. ახლებურად დაისვა მიწათმონყობის ამოცა-

ნებიც. მიწის რეფორმის წარუმატებლად (მოუშადადებლად) დაწყებამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში, აღსანიშნავია მიწის ფართობების ფრაგმენტაცია. გაუარესდა მრავალ ნაკვეთიანობისა და შორსმნიშვნელობის მაჩვენებლები. 1700 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისი ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა 642 ათასი (2014 წლის აღწერით) მეურნეობა. ამათგან 98,2%-ს წვრილი მეურნეობები შეადგენენ, რომელთა საშუალო ფართობი 1,3 ჰა. 77%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი აქვს. რეფორმის შედეგად მნიშვნელოვანი ნაწილი ფართობებისა დაიკავა გზებმა, ღობეებმა. საბოლოოდ მიწათმონყობის სისტემა მოიშალა.

მიწათმონყობის ახალი სისტემის შექმნის რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს. კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას. გასათვალისწინებელია ის, რომ მიწათმონყობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში, თანაც, როცა წვრილ ოჯახურ მეურნეობებშია კონცენტრირებული მიწის ფართობები (მწვავედ დადგა მათი კონსოლიდაციის საკითხი), სოფლების, მხარეების, მუნიციპალიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების ტერიტორიების, განსაკუთრებით სახელმწიფოს საზღვრების პრობლემა არ არის მოგვარებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მიწათმონყობა საჭიროა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. თითოეულმა მიწათმოსარგებლემ - ფიზიკური პირიდან დაწყებული, სახელმწიფოთი დამთავრებული - უნდა იცოდეს, რას ფლობს, როგორია მიწის ფართობის ძირითადი მახასიათებლები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ მიწის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივა ობიექტურად განისაზღვროს.

მიწათმონყობის ობიექტია სახელმწიფო მიწის ფონდი, - აქედან გამომდინარეობს მიწათმონყობის საშუალების მრავალფუნქციური მნიშვნელობაც. მიწის ფართობის არსებული მდგომარეობის შეფასება, მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავება, მიწის კანონმდებლობის დაცვის პირობების შექმნა, მიწის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, მიწის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება და სხვ. განსაკუთრებით იზრდება ტერიტორიული (სამეურნეობათაშორისი) მონყობის მნიშვნელობა. პირველ რიგში გადასაწყვეტია მიწის კონსოლიდაციის პრობლემა.

რთულია შიდასამეურნეო მიწათმონყობაც, რომელიც ტარდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით. შიდა სამეურნეო მიწათმონყობა მოითხოვს, შესრულდეს შემდეგი სამუშაოები: „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ეფექტური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესება, ახალი მიწების ათვისება, მიწების აღდგენა და კონსერვაცია, დარღვეული მიწების რეკულტივაცია, ეროზიის საწინააღმდეგო ღო-

ნისძიებათა დანერგვა, დაჭაობებული მიწების დაშრობა, მიწების გასარწყავება, დატერასება, განმარილება, გამინიანება, დაბალინტენსიური მიწის სავარგულების მაღალინტენსიურად გარდაქმნა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიზანშეწონილად გადაადგილება“.

„მიწათმონყობის“ თანამედროვე ინტერპრეტაცია მოცემულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის გამოკვლევაში „ევროპაში მიწის რესურსების მართვა, განვითარების ტენდენცია და ძირითადი პრინციპები“, სადაც ნათქვამია, რომ „ტერმინი მიწათმონყობა“ გამოიყენება იმ პროცესების აღწერისათვის, რომელთა მეშვეობით მიწის მატერიალური რესურსები კარგ მდგომარეობაში მოდის იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მიწა სახელმწიფოს, იურიდიული თუ კერძო პირის საკუთრება. იგი მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, მიწათმოქმედების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, უძრავი ქონების ობიექტების რაციონალურად გამოყენებისა და ფლობის ორგანიზაციის, ასევე ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიული დაგეგმვის ჩათვლით. მიწათმონყობა მოიცავს კომუნალური ობიექტების, კომუნიკაციების მშენებლობასა და მართვას, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას (მაგალითად, სატყეო მეურნეობა, ნიადაგის რაციონალური გამოყენება, ანუ სოფლის მეურნეობა), მიწის გამოყენების სფეროში პოლიტიკის რეალიზაციას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და მონიტორინგს, იმ საქმიანობას, რომელიც მიწის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს. მიწის რესურსების მართვა ინფრასტრუქტურის ნაწილია, მხარს უჭერს ეფექტიან მიწათმონყობას, რომელიც უნდა განვიხილოთ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მიზნის მიღწევის საშუალება.

მიწათმონყობის არა როგორც თვითმიზნის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალების ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრას პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. არც ის არის მოულოდნელი, რომ „მიწათმონყობა“ მისი მრავალფუნქციონალურობის გათვალისწინებით, თეორიასა და პრაქტიკაში განსხვავებული ინტერპრეტაციით ხასიათდება. ახლა მთავარია გლობალურ სივრცეში მიწათსარგებლობის ტენდენციათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად განისაზღვროს მიწათსარგებლობაში არსებული გამოცდილების სრულყოფის გზები, ამოცანები, ტექნოლოგიები. ამოსავალი აქ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პოტენციალის (ინტენსიურთან ერთად ექსტენსიური ათვისება) რაციონალური გამოყენება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების მიზნობრივად ამაღლებას ნიშნავს. ამიტომ მომავალშიც მთავარ პრინციპად უნდა დარჩეს მიწათმონყობის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ხასიათი, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის კონკრეტულ რეალობასთან (დინამიკასთან) ადაპტირების პრინციპი. მიწა, როგორც ბუნებრივი სიმდიდრე, წარმოების საშუალება, მრავალფუნქციონალურობით ემსახურება ადამიანს, მის კეთილდღეობას.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მიწათმონყობა - როგორც პროცესი, სისტემატიურად სრულყოფას, ფუნქციების გამრავალფეროვნებას, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებზე ზემოქმედების მობილური მექანიზმების (ადაპტირების) გამოყენებას საჭიროებს.

„მიწათმონყობა“ არის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ზემოქმედების სხვადასხვა ბერკეტების (ინსტრუმენტების) გამოყენებით ემსახურება მთავარ მიზანს - მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებას, რაც არა მხოლოდ სასურსათო უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს ქმნის, არამედ, ამასთან ერთად ხელს უწყობს ყველა სფეროში მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე მომიჯნავე დარგების განვითარებას, საბოლოოდ, - შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას.

ამრიგად, მიწათმონყობა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოთა ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებული სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, მიწის რესურსების ინტეგრალური მართვა და დაცვა უზრუნველყოს. ამიტომ, რომ თანამედროვე პირობებში მიწათმონყობა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენტად) არის აღიარებული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მისი როლი (მისი ჩანაცვლება სხვა ინსტრუმენტებით არ შეიძლება) განსაკუთრებულია დღეს საქართველოში, სადაც ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა, აღრინდელი და ახალი პრობლემები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და მიწის რესურსების ეფექტიანობის ამაღლების ხელშემწყობი პირობები, ფაქტობრივად, გამოუყენებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ მიწათმონყობის სისტემა, ფაქტობრივად, თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს, აუცილებელია მიწათმონყობის თანამედროვე გამოცდილების, ამ სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სიახლეების და მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიჯნაზე ჩამოყალიბებული მიდგომების, პრინციპების ადგილობრივი პირობების შესაბამისად გამოყენების ღონისძიებების განსაზღვრა.

მიწათმონყობის ახალი სახელმწიფო პოლიტიკის, რომლის მიზანია თანამედროვე პირობებში მეცნიერებისა და პრაქტიკაში აღიარებული მიდგომებით ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა, განმსაზღვრელი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი პროგრამებისა და მიწათმონყობის გენერალური სქემის შემუშავება;

- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, მიწის ნაკვეთების საზღვრების გამიჯვნა ერთიანი

სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძველზე და მათი ტექნიკური გაფორმება;

- მიწათმონყობის პროექტების შედგენა;

- დაზიანებული მიწების, ნიადაგის დაცვის, ახალი მიწების ათვისების, ნიადაგის შენახვისა და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი პროექტების დამუშავება;

- ქალაქის, დაბის, სოფლის დასახლებების საზღვრების დაზუსტება;

- ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ნიადაგობრივი, აგროქიმიური და სხვა გამოკვლევების ჩატარება, ასევე საძიებო სამუშაოების განხორციელება;

- მიწის რესურსების გამოყენების მდგომარეობის შესახებ რუკებისა და ატლასების შედგენა;

- მიწის რესურსების ინვენტარიზაციის ჩატარება და სხვ.

- სამიწათმონყობო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ყველა სახის მიწის რესურსის მიმართ; დასახელებული და მათთან დაკავშირებული სპეციფიური ამოცანების, რომლებიც სამუშაოების შესრულების პროცესში წამოიჭრება, განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაცია. ეს არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე, სამსუხაროდ, ასეთი პროგრამა სახელმწიფოს არ აქვს.

ქვეყნის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე სამთავრობო გადაწყვეტილებებით მიღებული განვითარების სტრატეგიაში მიწის რესურსების მართვის, მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ამოცანებიც დეკლარირებული ხასიათისაა. მსოფლიო გამოცდილება, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაც - მონმობს, რომ მიწათმონყობა, როგორც მიწის რესურსების სახელმწიფო მართვის ფუნქცია, შესაბამის კანონმდებლობას უნდა დაქვემდებაროს. პირველ რიგში, საჭიროა, დამუშავდეს საქართველოში „მიწის კოდექსი“ და „მიწის კადასტრი“, რომლებშიც მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული საფუძველები კომპლექსურად განისაზღვრება.

მეურნეობრიობის სისტემაში მიწა განიხილება როგორც მთავარი ობიექტი, რაც წარმოშობს მისი რესურსების გამიჯვნის, გადანაწილების რეგულირებისა და დაცვის პრობლემებს. ამიტომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ჩამოყალიბდა მიწის კადასტრი, რომელიც ბუნებრივ-რესურსული კადასტრის ერთ-ერთ სახეა. მიწის კადასტრი განსხვავდება სხვა სახის კადასტრებისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მიწა, როგორც აღინიშნა, მატერიალური კეთილდღეობის წყაროსთან ერთად წარმოების სპეციფიკური საშუალებაა. გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში მიწა ასრულებს სივრცობრივი ბაზისის ფუნქციას, ხოლო, მომპოვებელ მრეწველობაში - შრომის საგნის ფუნქციასაც. ამასთან, მიჩნეულია, რომ მიწა სოფლის მეურნეობაში არა მხოლოდ ადგილია, სადაც შრომის



პროცესი მიმდინარეობს, არამედ ამასთან იგი **ასრულებს შრომის საგნისა და შრომის იარაღის ფუნქციასაც**. მიწა ასევე სივრცობრივად შეზღუდულია. მიწას აქვს სპეციფიკური თვისებაც - ნაყოფიერება, რომელზეც არის დამოკიდებული მცენარეთა ზრდა-განვითარება. მიწა გამოყენების თვალსაზრისით მრავალმხრივობით გამოირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც თავისებურება, მოითხოვს მიწის, როგორც ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების არსებობას, ე.ი. მიწის კადასტრის შედგენას.

თანამედროვე პირობებში ლიტერატურაში მიწის კადასტრის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებები დაფიქსირდა. უფრო მეტად გავრცელებულია შემდეგი განმარტება „მიწის კადასტრი არის მიწის შეფასება როგორც ნაყოფიერების, ასევე მდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული დაბეგვრისა და მისი ფასების დადგენისთვის“. ეს ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიწის კადასტრი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დაბეგვრის ობიექტის მნიშვნელობამდე. რატომ? მიწა მისი მრავალმხრივი თვისებების გამო ეკსკლუზიურ ფუნქციებს ასრულებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დოვლათის წარმოების უმთავრესი პირობის ფუნქცია. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მიწის კადასტრის დანიშნულებაა მიწის რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება (მოიცავს ზუსტ აღრიცხვას, ოპტიმალურ მიწათმოწყობას, მიწაზე სამეურნეო საქმიანობის ობიექტურ შეფასებას, კომპლექსურ დაგეგმვას და ა.შ.). ეს ნიშნავს იმას, რომ კადასტრი მრავალმიზნობრივია და ემსახურება მიწის რესურსების სტრატეგიულ მართვას (განვითარების სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტების ყოველმხრივ გათვალისწინებას). მიწის კადასტრის ასეთი გაგებიდან გამომდინარე მისი მონაცემთა ბაზის ისეთი მახასია-

თებლების განსაზღვრა, როგორიცაა: მიწის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა (იგულისხმება ბიოკლიმატური პოტენციალი, ნიადაგის საფარი, რელიეფი, მცენარეული საფარი, მიწის სახეები); მიწის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მიწის ეკოლოგიური მდგომარეობა და მისი ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მიწის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს (როგორც აღინიშნა) მიწის რესურსების რაციონალური (მიზნობრივი) გამოყენება და დაცვა, მესაკუთრეთა და მიწის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა (როგორც მიზნის მიღწევის საშუალება). კადასტრის საკანონმდებლო საფუძველია მიწის კოდექსი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება მისი სტრუქტურა (პრინციპები).

სახელმწიფო მიწის კადასტრი უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ხოლო მიწაზე უფლებების განხორციელება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას. მიწის კადასტრთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებს, როგორც წესი, სახელმწიფო ეწევა.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში, მითუმეტეს გარდამავალ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის კადასტრის როლი.

მიწის კადასტრის შედგენის პროცესი მოითხოვს რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური და მმართველობითი ღონისძიებათა განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებისა და კადასტრის შედგენის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით როგორ მოდელს (კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად) ვანიჭებთ უპირატესობას.

გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწის როლი და ფასი მუდმივად გაიზარდება.

თანამედროვე მსოფლიოში მიწის კადასტრის წარმოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად საკა-

დასტრო ინფორმაციული სისტემების ერთმანეთისგან განსხვავებისა, ყოველი მათგანი თანაბრად გამოიყენება „დაბეგვრის, ასევე მართვის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის. კადასტრი წყვეტს მინის აღრიცხვის, მინის ნაკვეთების იდენტიფიკაციის, მინის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის, საკადასტრო რუკების შედგენის ამოცანებს“.

მეცნიერებასა და პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, მინის კადასტრის ეკონომიკური ფუნქციაა: მინის რესურსის საბაზრო პოტენციალის სწრაფად და ეფექტიანად მოპოვება, ინვესტიციების მოზიდვა და ინფრასტრუქტურის შესაბამისი სფეროს განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, რითაც დაჩქარდება გაფართოებულ კვლავწარმოებაზე გადასვლა, ეკონომიკის დაბალანსებული განვითარებისათვის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლის მომზადება. „მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს მიესადაგება არა საერთოდ მინის ბაზრის, არამედ სოციალურად ორიენტირებული ბაზრის ფორმირება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი „რჩეული“ ნაწილის) ჩაბმას მინაზე საკუთრების ურთიერთობებში. ამ სფეროში ფართოდ უნდა იყოს ჩართული საკრედიტო, სადაზღვევო, სასამართლო სისტემები, ბანკები, ნოტარიუსები და სხვ.“.

მინის კადასტრი მრავალ ფუნქციას ასრულებს. კერძოდ:

- „სამართლებრივ სფეროში - მინაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაცია;

- ეკონომიკის სფეროში - მინის გამოყენებიდან ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა, დასაბეგრი ბაზის გაფართოება, მინის საკადასტრო (ეკონომიკური) შეფასება, მინის ბაზრის ინფორმაციულ უზრუნველყოფა;

- საბანკო სექტორსა და დაზღვევაში - უძრავი ქონების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, იპოტეკური დაკრედიტების განვითარება (გირაოდ მინის ნაკვეთის და სხვა უძრავი ქონების ჩადება), უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაზღვევა;

- ინვესტიციის სფეროში - პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის იპოტეკური დაკრედიტების გამოყენება;

- საბინაო მშენებლობაში - საცხოვრებლისათვის გადახდის განაკვეთის, ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით დიფერენციაციის დასაბუთება;

- მინის რესურსების მართვაში - ტერიტორიაზე მინის რესურსების დაგეგმვისა და მართვისათვის სრული და ობიექტური ინფორმაციის უზრუნველყოფა, უძრავი ქონების ფორმირებაში საუწყებთაშორისი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა, მინების მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება, გენერალური გეგმების დაზუსტება და ა.შ.

- საინფორმაციო მომსახურებაში - სახელმწიფო და

სხვა სტრუქტურებისათვის, ბანკებისათვის, იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდება;

- მინათსარგებლობის მდგრადობის უზრუნველყოფის სფეროში - მოცემულ ნაკვეთზე მინის მესაკუთრის უფლების მდგრადობის უზრუნველყოფა;

- სოციალურ პოლიტიკაში - ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის, ტურიზმის განვითარება, საწარმოო ობიექტების ქალაქიდან გატანა, ახალი სოციალური ფენების ფორმირება“.

ყოველივე ეს, როგორც მსოფლიო გამოცდილებითაც დასტურდება, საბოლოოდ აისახება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და სოციალურ-ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ინტერესების დაბალანსებაზე კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს, რაც აუცილებელი პირობაა მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობისთვის.

მინის კონსოლიდაცია მინათმომწოდების სისტემაში

საქართველოში მინის პრივატიზაციის შედეგად მისი ფრაგმენტაციის ფონზე, კონსოლიდაციის პრობლემამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ეს ახალი მოვლენა არ არის. იგი მინათსარგებლობაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრდა.

ლიტერატურაში ცნება „მინის კონსოლიდაცია“ განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით „მინის კონსოლიდაცია“ სასოფლო-სამეურნეო მინათმფლობელობასა და მინათსარგებლობაში სავარგულეების სტრუქტურის, შემადგენლობის, კონფიგურაციისა და მინის ნაკვეთების ზომის გაუმჯობესების მიზნით მსხვილი მასივების (მინდვრების) ფორმირებაა; ფართო გაგებით - სოფლის განვითარების ფარგლებში „მინის კონსოლიდაციის“ უფრო ეფექტიანი საშუალებაა კომპლექსური კონსოლიდაცია, რომელიც ითვალისწინებს მინის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომლის მიზანია სოფლის განვითარების სტიმულირება. მაგალითად, სოფლის დასახლების აღდგენა, სოფლის გზების მშენებლობა, საირიგაციო-სადრენაჟო ინფრასტრუქტურის შექმნა, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა, გარემოს დაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ..

ამრიგად, მინის კონსოლიდაცია ფრაგმენტაციის აღმოსაფხვრელად მინის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად, სხვა მიზნებსაც მოიცავს. ეს კარგად ჩანს ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

ევროპის ქვეყნებში მინის კონსოლიდაცია გამოიყენება რა, როგორც ტერიტორიის განვითარების ინსტრუმენტი, ერთდროულად წყვეტს რამდენიმე პრობლემას: ფერმების (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გარემოს დაცვას, ლანდშაფტის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის,

ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ კონსოლიდაციის მიმართ ე.წ. ჩარჩო მიდგომებთან ერთად, ქვეყნების თავისებურებათა გათვალისწინებით, გამოიყენება სპეციალური მიდგომებიც. მაგალითად, ლიეტუვას რესპუბლიკის (ბალტიისპირეთი) კონცეფციაში კონსოლიდაცია გულისხმობს მიწის ნაკვეთების კომპლექსურ რეორგანიზაციას (საზღვრების შეცვლა, ნაკვეთების განლაგება) ტერიტორიის განვითარების გეგმის მიხედვით. მიზანი - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, გარემოს დაცვა, აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

ნიდერლანდების სამეფოს კონცეფციაში (მიღებულია კანონი მიწის განვითარების შესახებ) მთავარ მიზნად განსაზღვრულია ფერმების სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის გაუმჯობესება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიწის კონსოლიდაციის შესახებ კანონისა და ქალაქთმშენებლობის და სოფლის დაგეგმვის შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრულია მიწის კონსოლიდაციის როლი მიწათმოქმედებაში. პირველი კანონი არეგულირებს სოფლის მეურნეობის მიზნებს, მეორე კანონი - წყვეტს მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის, ქალაქთმშენებლობის და საერთოდ უძრავი ქონებისადმი დამოკიდებულების საკითხებს.

მიწის კონსოლიდაციის გამოყენების კონტექსტში საინტერესოა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკაში მიწის კონსოლიდაციის შედეგად წერილი, დაქუცმაცებული მიწების გამსხვილების მიზნით შეიმუშავეს სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის პროგრამა. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს უკრაინაში, ესტონეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციაში. რუსეთში კონსოლიდაციის სამუშაოებს ატარებენ აგროსამრეწველო ჰოლდინგები, რომლებსაც საკუთრებაში და იჯარით აქვთ მიწის დიდი ფართობები. გამოყოფენ კონსოლიდაციის რამდენიმე სახეს (ტიპს). მაგალითად, კონსოლიდაცია გამოიყენება როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, ასევე ეკოლოგიური პროექტების რეალიზაციის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ინსტრუმენტი.

მიწის კონსოლიდაციის მსოფლიოში ჩამოყალიბებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი მრავალმიზნობრივი გახდა. სოფლის მეურნეობის განვითარება გადავიდა მრავალმიზნობრივი ფუნქციების შესრულებაზე, ე.ი. სოფლის მეურნეობის მიზანი, ფაქტობრივად, რეგიონების ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, საირიგაციო და სხვა სამუშაოების მიზნებთან ინტეგრირებულია. ამრიგად, მიწის კონსოლიდაცია, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, დაქუცმაცებული ტერიტორიების გაერთიანებისთვის კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული.

საქართველოში კონსოლიდაცია მიწის დაქუცმაცების აღმოფხვრის მიზანთან ერთად მთელი ტერიტორიის

მრავალფუნქციური გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობების მომზადებას უნდა ემსახურებოდეს. ასეთი ფუნქციის შესრულებისათვის თანამედროვე პირობებში აუცილებელია ქვეყნის მიწის ფონდის სრული ინვენტარიზაცია. სხვანაირად, ე.წ. კოსმეტიკური მიდგომით, ვერ შევძლებთ რეალური წარმოდგენა გვექონდეს ეროვნული სიმდიდრის უმთავრეს ნაწილზე - საქართველოს მიწის რესურსებზე. მით უფრო, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე არამცთუ მიწის ინვენტარიზაცია ვერ ჩავატარეთ, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწის საერთო ფართობი მიახლოებითაც არ ვიცით. ცნობისათვის, - მიწის სრულ ინვენტარიზაციას აშშ-ში 3 წელიწადში ერთხელ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 5 წელიწადში ერთხელ ატარებენ. ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად, უნდა შედგეს მიწათმოქმედის გენერალური სქემა (გეგმა), რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის მრავალდარგოვანი ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად დაედება.

რატომ არის საჭირო გენერალური სქემის დამუშავება?

- თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა დაეფუძნოს განვითარების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას უზრუნველყოფს. ამ საქმეში მასშტაბის ეფექტის როლთან ერთად, მოცემული ტერიტორიის (მისი კომპონენტების) ინტეგრირებული მიზნობრივი ფუნქციების განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა დიდია. სწორედ ამასია მიწის კონსოლიდაციის მრავალფუნქციური როლი.

- ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს მიწის დეგრადაციის დონე (ეროზია, გაუდაბნოება, დამარილიანება, დაჭაობება და სხვ.); განისაზღვროს მიწის ფართობების კონსერვაციის აუცილებლობა, შედარებით დაბალნაყოფიერი მიწის ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი და, რაც აქტუალურია, სახელმწიფო მიწის მარაგების გამოყოფა, ასევე ლანდშაფტის შენარჩუნების, ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა და ა.შ.

- კონსოლიდაცია პროექტების მიხედვით უნდა განხორციელდეს. მასში გასათვალისწინებელია ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობები, შრომითი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების ტრადიცია (ოჯახის წევრებზე მიწის მცირე ნაკვეთების გამოყოფა), ასევე ერთ მასივში სხვადასხვა მესაკუთრის ნაკვეთების განლაგება, ირიგაციული ან სხვა ღონისძიებათა (ქარსაფრები) განხორციელება და ა.შ.

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის კონსოლიდაციის პროექტში აისახოს ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის, მშენებლობის, კეთილმოწყობის (პარკები, სკვერები, ქარსაფარი და სხვ.), წყალსაცავების, მაგისტრალური გზების რაციონალურად განლაგების, ტყეების ფართობების შერჩევა-განსაზღვრის ღონისძიებანი.

- მიწის კონსოლიდაციის სპეციფიკური ფორმა (მაშინ, როცა მიწის ნაკვეთების გაერთიანება არ ხერ-

ხდება) რეალიზაციის მიზნით წერილი მეურნეობების პროდუქციის შესყიდვის, შენახვის, გადამუშავების ორგანიზაციაა. ეს მიწათმოსარგებლობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს. იგულისხმება, რომ წერილი მეურნეობები ადგილობრივი ბუნებრივ-სა-წარმოო პირობების შესაბამისად იცავენ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, აწარმოებენ (თუმცა მცირე რაოდენობით) სუფთა პროდუქციას (ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული და ა.შ.), მაგრამ ჭარბი პროდუქციის რეალიზაციას ვერ ახერხებენ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის მისაღები ფორმის გამოყენებას. საქმე გვაქვს არა პირდაპირი მნიშვნელობით მიწის კონსოლიდაციასთან, არამედ **მიწაზე მონეული, ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი, პროდუქციის კონსოლიდირებული წესით მიწოდებასთან.**

• კონსოლიდაციის ფორმა განისაზღვრება პროექტის მიხედვით. დაპროექტება სპეციალურ ცოდნასთან ერთად, სპეციალიზებულ ორგანიზაციას (საპროექტო), ქვეყანაში შესაბამისი პროფილის კადრების მომზადების საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ მიზნით მიწის მართვის სახელმწიფო ორგანოში უნდა ფუნქციონირებდეს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემების კვლევის სამსახური და საპროექტო ორგანიზაციები (თუნდაც რეგიონების დონეზე). ტერიტორიის მიწათმოსარგებლობის პროექტში არა მხოლოდ წარმოებისა და ტერიტორიული ორგანიზაციის მეთოდები და ხერხები განისაზღვრება, არამედ მასთან ერთად მიღებული უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, რომლებიც ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებას უზრუნველყოფენ. ამიტომ კონსოლიდაციის პროცესი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების დაცვით უნდა დაპროექტდეს. პროექტების შედგენასა და რეალიზაციაში კერძო სექტორიც აქტიურად უნდა ჩაერთოს.

• მიწის კონსოლიდაციის წარმატებულად გამოყენებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ მისი რეგულირება; მოსაზრება, რომ კონსოლიდაციის საკითხი მიწის ბაზარმა გადაწყვიტოს, ქვეყნისათვის დღევანდელ პირობებში მიუღებელია. მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭიროა პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტური მექანიზმი, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე დაგეგმვა-განხორციელება.

• სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონი „მიწათმოსარგებლობის შესახებ“, რომელიც გაითვალისწინებს მიწის ეკოლოგიურ, რესურსულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ასპექტებს, მიწის კოდექსთან და მიწის სახელმწიფო კადასტრთან ერთად მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მყარი საკანონმდებლო ბაზას შექმნის. კანონში სრულად უნდა აისახოს მიწის კონსოლიდაციის, როგორც სამიწათმოსარგებლობის ერთ-ერთი სახის როლი და მნიშვნელობა. ასევე უნდა განისაზღვროს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწის ნაკვეთების შემდგომი დაქუცმაცება.

• მიწათმოსარგებლენი და სახელმწიფო მოვალენი არიან მიწათმოსარგებლობის ობიექტური ხასიათი გაითვალისწინონ. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში ტენდენციად ჩამოყალიბდა მიწის კონსოლიდაციის ერთმიზნიანიდან მრავალმიზნიან მდგომარეობაში გადასვლა.

სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი და მიწის რესურსების მესაკუთრე, უნდა აცნობიერებდეს, რომ ეროვნული სიმდიდრის დაცვაში საკუთარი, საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების დაბალანსება მისი ეკსკლუზიური ფუნქციაა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს საშუალება, განვითარების სტრატეგიაში ასახოს მიწის რესურსების მრავალმიზნობრივად გამოყენების პოტენციალი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების რეალიზაციის პროცესში კონსოლიდაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებას საფუძვლად დაედება.

მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ ფუნქციად პროგნოზირებას, სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვას თვლიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი მიწის რესურსების გამოყენებაში.

FAO-ს მიერ 1981 წელს მსოფლიოს ნიადაგის „ქარტიის მიღების“ და 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ კონფერენციის ჩატარების შემდეგ მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა მიწის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აღიარეს. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაგეგმვის ფუნდამენტურ საფუძვლად აღიარებულია მიწის საფარის სისტემური ანალიზი და შეფასება, რაც განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად გამოსადეგია მიწა მისი სხვადასხვა ფორმით გამოყენებისათვის, მათ შორის - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ასეთი მიდგომა მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მიწის რესურსების მართვის დონეს ამაღლებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ღრმავდება შრომის დანაწილების პროცესი, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება პროგნოზირება და დაგეგმვა (მართვის სხვა ფუნქციებთან - ორგანიზაცია, მოტივაცია, კოორდინაცია, კონტროლი და ა.შ. ურთიერთკავშირში).

საერთო აღიარებით, პროგნოზი წინასაპროექტო დოკუმენტაციაა, რომელიც არსებული ინფორმაციის საფუძველზე ანალიზს ეფუძნება და იძლევა წარმოდგენას ობიექტის მომავალზე.

ამრიგად, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება განიხილება, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები (გათვლები) რესურსების გამოყენების შესაძლო მდგომარეობის შესახებ, დაგეგმვა კი - რესურსების გამოყენების პერსპექტივა. ამიტომაც, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნებად აღიარებულია:



„მინის რაციონალურად გამოყენება და დაცვა;
სამეცნიერო ნანამძღვრების შექმნა;

მმართველობითი გადანაცვლებების შესაძლო
შედეგების შეფასება;

არსებული რესურსების შეფასება და მათი რაციო-
ნალურად გამოყენების ღონისძიებათა განსაზღვრა“.

მინის რესურსების გამოყენების პროგნოზირების
პრინციპებს საფუძვლად უდევს ის თეორიული მახასი-
ათებლები, რომლებიც ნებისმიერი სახის პროგნოზირე-
ბისა და გეგმისათვის ძირითადია. ესენია: მეცნიერული
დასაბუთების, სისტემურობისა და კომპლექსურობის,
ერთიანობის, უწყვეტობის, გარანტიების, თანმიმდევ-
რულობის, პრიორიტეტულობის, ინფორმატიულობისა
და ეფექტიანობის პრინციპები.

აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს
მინის რესურსების ისეთი ფუნდამენტური თვისებების
გათვალისწინებას, როგორიცაა მინა - ეკოლოგიური
სისტემის ნაწილი (უნივერსალური ბუნებრივი რე-
სურსი) - წარმოების ფაქტორი (სოფლის მეურნეობა,
სატყეო მეურნეობა, სამთო მრეწველობა) - უძრავი
ქონება (რაც ახალია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყ-
ნებისათვის). მინის რესურსების გამოყენების კომ-
პლექსურობა გულისხმობს განვითარების პროცესის
ყველა კომპონენტის როლის (ადგილის) და ურთიერთ
კავშირების მდგომარეობის ახსნას და განვითარებას.
ამასთან აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა
ცალ-ცალკე, არამედ როგორც ერთიანი მთელი. ასეთი
მიდგომა იძლევა საფუძველს, ობიექტურად განესა-
ზღვროთ განვითარების პროცესი, - ჩვენს შემთხვე-
ვაში შეიქმნას მინის რესურსების რაციონალურად
გამოყენების ხელშემწყობი გარემო. ამიტომ პროგნო-
ზირებისა და დაგეგმვის ფუნქციის წარმატებულად
განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად
სწორად, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით,
რეალობის ადეკვატურად, მოხერხდება რესურსების
გამოყენების ანალიზი.

სამწუხაროდ, მინის რესურსების გამოყენებაში

პროგნოზისა და დაგეგმვის, როგორც მართვის ფუნ-
ქციის როლი, ფაქტობრივად, იგნორირებულია საქა-
რთველოში. ჯერ კიდევ მოუგვარებელია მინის რესუ-
რსების აღრიცხვა და რეგისტრაცია. საქართველოს
მინის ფონდის (ბალანსი) ანალიზი 2005 წლის შემდეგ
არ გაკეთებულა. ამიტომ ქვეყანაში ცნობილი არ არის
როგორია მინის ფონდის სტრუქტურა. განსაკუთრებით
ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის
ფართობებს. ამ ხნის მანძილზე, არამც თუ არსებულ
ფონდში მიმდინარე ცვლილებების პროგნოზები და
მის შესაბამისად განვითარების გეგმები შედგენილა,
არამედ, ტრანსფორმაციის პროცესიც სახელმწიფოს
ინტერესების საზიანოდ, რეგულირების გარეშე დარჩა.
შესაბამისი დასკვნები არ გაკეთებულა 2004 და 2014
წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებიდან.
უფრო მეტიც, - 2014 წლის, როგორც მოსახლეობის,
ასევე სასოფლო-სამეურნეო აღწერის არასრულყო-
ფილად ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია
საფუძვლად დაედო წინა წლებში ჩამოყალიბებული
მონაცემების გადასინჯვას. პოლიტიკურ-სახელმწი-
ფოებრივი რეაგირება ამ მოვლენის მიმართ არ დაფიქ-
სირებულა. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მინის
დაცვის ღონისძიებები არ ხორციელდება, ნიადაგის
დეგრადაციის მონაცემები განახლებულიც არ არის.
მკვეთრად შემცირდა სარწყავი ფართობები, მეორადი
დაჭაობების პროცესიც ღრმავდება. სასოფლო-სამე-
ურნეო მიწები უცხოელებზე ქაოტურად გასხვავდა.
ისიც არ არის ცნობილი, სასოფლო-სამეურნეო და-
ნიშნულების მინის რა ფართობს ფლობენ უცხოეთის
მოქალაქეები.

ანგარიშგასანევია ტენდენცია, რომელიც რეფო-
რმების პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა და
ხელს უწყობს მინის არამიზნობრივად გამოყენების
გარემოს შექმნას. ესაა სასოფლო-სამეურნეო მიწების
გადანაწილების პრობლემა, რომელიც მინის ბაზრის
მახინჯი ფორმით ჩამოყალიბების შედეგად წარმოიქ-
მნა. მინის გადანაწილების პროცესი არ წარმართა

სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივად გამოყენებისათვის. იმის გამო, რომ საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია, მიწის მფლობელი უფრო მეტად ხდება ის, ვისაც შესაბამისი ფულადი კაპიტალი გააჩნია. ასეთი დღეს გლეხი არ არის (უფრო სწორად ის, ვინც მონადინებულია, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იყოს ჩართული). უკანასკნელ წლებში რიგი მიზეზების გამო სოფლის მოსახლეობა გაღარიბდა. 1997-2018 წლებში სოფლის მოსახლეობა შემცირდა 700 ათასი კაცით. ასეთ პირობებში მიწები სულ უფრო ინტენსიურად გადადის ადგილობრივი ოლიგარქიული სტრუქტურების, ან უცხოელი მოქალაქეების საკუთრებაში. ეს პროცესი უფრო დაჩქარა რიგ რეგიონებში მრავალნაკვეთიანობამ, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელია ნაკვეთების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორება. ეს პრობლემა საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა, მაგრამ იგი უშუალოდ კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მეშვეობით წყდებოდა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში, როცა მიწის მესაკუთრე, რომელსაც მიწის ნაკვეთი აქვს შორ მანძილზე (10 კმ და ზემოთ) ვერ ახერხებს მის გამოყენებას. ასეთი მდგომარეობა არც ისე იშვიათად სპეკულაციური გარიგებებისათვის გამოიყენება.

ბოლო პერიოდში, კერძოდ, 2016 წლიდან, დაჩქარდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესი. ეს სწორი ნაბიჯია, თუმცა ამით შეიძლება სპეკულაციური გარიგებების შედეგად ჩამოყალიბებული ნეგატიური რეალობის დაკანონების ხელსაყრელი გარემოც შეიქმნას. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვისას პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესში ასეთ „ნიუანსებს“ სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. აქაც ამოსავალი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის რაციონალურად გამოყენების პრიორიტეტი, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დღევანდელი სოფლის მეურნის დაქირავებულ მუშებზე ჩამოყალიბების რისკებს.

მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია:

- ქვეყნის ტერიტორიის განვითარებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივის განსაზღვრა (რა თქმა უნდა, მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მიწის კატეგორიების შესაბამისად).

- მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებული გაუმჯობესება, მელიორაცია (მორწყვა, დაშრობა და სხვა)) გამოიყენებოდეს. ამ მიზნით მიწის გადანაწილების ფონდის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მიწის კონსოლიდაციის პროცესს, არსებული ფართობების მიზნობრივ გადანაწილებას.

- მიზანშეწონილია შემუშავდეს მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემა. მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი გამომდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან,

აყალიბებს სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის თვისებრივად ახალ მიდგომას, იყენებს ტერიტორიის რაციონალურად ათვისების თანამედროვე მეთოდებს, აკონკრეტებს მუნიციპალიტეტების როლსა და ადგილს მიწის რაციონალურად გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივ სტრატეგიაში, ავლენს რესურსებს რეგიონული განვითარების დონის გამოთანაბრებისათვის. ასეთი გენერალური სქემა რესურსების კონცენტრირებად (ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზაზე), მიზნობრივად (საერთო სახელმწიფოებრივი, რეგიონული, მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინება) და ორგანიზაციულად (ეტაპობრივად) გამოყენების საშუალებას იძლევა. აქვე ავლენიანათ, რომ გენერალური სქემის გამოყენების გამოცდილება საქართველოში გვაქვს. მაგალითად, 80-იან წლებში შემუშავდა საქართველოს სსრ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემა 1981-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდისათვის, რომლის განხორციელება 1990 წლიდან პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ შეწყდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, ზემოთ მითითებული სქემის შემუშავება ობიექტური აუცილებლობაა, რადგანაც იგი, როგორც ურთულესი პროცესების რეგულირების ინსტრუმენტი, ხელს შეუწყობს:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და უფრო მიზანშეწონილი მიმართულებების განსაზღვრას, ტერიტორიული პროპორციების დადგენას, მთელის (სახელმწიფო) და ადგილობრივი ინტერესების დაბალანსებას, მიწის რესურსული პოტენციალის ობიექტურად შეფასებას და სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გამოყენებას, მიწის რესურსების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის გაუმჯობესებას (აღრიცხვა, შეფასება, მონიტორინგი, დაგეგმვა და ორგანიზაცია), საზღვრების მონესრიგებას როგორც ტერიტორიის სუბიექტების, ასევე სახელმწიფოებს შორის (განსაკუთრებით ეს ეხება საზღვრისპირა ტერიტორიებს), მიწის მარაგის შექმნას (სახელმწიფო, მუნიციპალური, დარგთაშორისი საჭიროებებისათვის), ახალი მიწების ათვისებას, ბუნებადაცვითი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

გენერალურ სქემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის გამოყენებას (იგულისხმება ნიადაგობრივი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება). ასევე აუცილებელია არა მხოლოდ ამჟამად არსებული ნაყოფიერი, არამედ მომავალში ნაყოფიერების პოტენციალის მქონე ფართობების დადგენა და შემდგომში მათი უპირატესად გამოყენება. ეს თვისებრივად ახალი მეთოდი ამჟამად დანერგო ალტერნატივაა, ამიტომ გარკვეულ წინააღმდეგობას შექმნის. მხედველობაში გვაქვს ის, რომ დღეს სასოფლო-სამეურნეო მიწა განიხილება როგორც ტერიტორია, სივრცითი ბაზისი. ამიტომაც, რომ ტერიტორიული დაგეგმვის პრაქტიკას საფუძვლად უდევს

ქალაქთმშენებლობის მეთოდოლოგიური ბაზა, რაც მიწების რაციონალურ გამოყენებას ვერ უზრუნველყოფს.

- **გენერალური სქემის კიდევ ერთი თავისებურების შესახებ.** იგი თავისი დანიშნულებით გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს. ამჟამად ასეთი პროგრამები საქართველოში არ დგება.

ქვეყანაში დამკვიდრდა ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგების განვითარების ე.წ. სტრატეგიების შემუშავების პრაქტიკა, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ასეთი დოკუმენტები, ძირითადად, ქრესტომათიულ დოკუმებს ეფუძნება, ადეკვატურად არ იყენებს იმ მექანიზმებს (პროგნოზირება და დაგეგმვა), რომელთა გარეშე დასახული მიზნების განხორციელება შეუძლებელია. მაგალითად, 2020 წლამდე პერიოდისათვის მიღებული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, სწორად განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, მაგრამ, კონკრეტულ მიზანს (ამოცანებს), რაც სურსათით უზრუნველყოფის რისკებს შეამცირებს, არ ითვალისწინებს. თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების მიზანმიმართულად რეგულირებას სჭირდება მონაწილე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრული გეგმა-სტრატეგია (პროგრამა), რომელიც გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. სამწუხაროდ, გრძელვადიანი პროგრამის შედგენას ყველა მთავრობა თავს არიდებს. მიზეზი პოლიტიკური კონიუქტურაა, რაც მოკლე პერიოდის პოლიტიკური ინტერესების გავლენით ხელისუფლებაში ყოფნის დროის გახანგრძლივების „სტრატეგიას“ ეფუძნება.

- **მინის რესურსების გამოყენების კონტექსტში პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ მინის სახელმწიფო ფონდი.** განმსაზღვრელი პრინციპი უნდა იყოს მინის ფონდის ტრანსფორმაციის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი, ობიექტურად შეფასება და განვითარების პროგნოზირება სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში (იგულისხმება მინის რესურსებზე მოთხოვნილება ყველა დარგისა და სამეურნეო საქმიანობის სახეების მიხედვით). ე.ი. პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მინის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე პრინციპების, მეთოდების გამოყენებით მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშება გაკეთდება.

- **გენერალურ სქემაში რეალურად უნდა აისახოს რეგიონული თავისებურებები (ტენდენციები).** ამასთან, სქემის საფუძველზე უნდა დაკონკრეტდეს მუნიციპალური სქემები. დღევანდელი მუნიციპალიტეტები ჩამოყალიბდნენ ადრე არსებული სოფლის ადმინისტრაციული რაიონების ბაზაზე და მთავარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები არიან.

- **გასათვალისწინებელია მინის რესურსების, როგორც პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტის, ისეთი თავისებურებებიც, როგორიცაა რესურსების**

მრავალფეროვნება, რომელიც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს და საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და სისტემატიზაციას. საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ამ მიმართულებით კადრების მომზადება შეწყვეტილია, სამინისტროებსა და მუნიციპალიტეტებში არც შესაბამისი სტრუქტურებია შექმნილი.

- განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის მინის რეზერვის განსაზღვრის საკითხი. მინის (ნიადაგის) საფარის ვარგისიანობა ბიო-ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მინის რესურსების მრავალფეროვნული დანიშნულება თავად განსაზღვრავს მათი გამოყენების შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას, რაც იძლევა საშუალებას გაკეთდეს სწორი არჩევანი. დღემდე მინათსარგებლობაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა (ხდება) პოლიტიკური მოსაზრებებით (ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური ინტერესებით) და არა ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ როგორი ნეგატიური შედეგები ახლავს ასეთ მიდგომას. პირველ რიგში უნდა დადგინდეს მინის ის ფართობები, რომლებიც შემდგომში გამოდგება სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის (როგორია მათი ათვისების დონე, რამდენად სწორად მიეკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიას). ანალიზისას გამოყენებულ უნდა იქნას მინის ფართობების მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია, ამასთან არგუმენტირებულ იქნას მისი მიზნობრივი გამოყენების აუცილებლობა. ის, რომ პრიორიტეტი ენიჭება მინის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ფართობების გამოყენება არ განისაზღვროს მიზნობრივად. მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვა. ასეთი მონაცემები გვაძლევს საფუძველს მყარ მეთოდოლოგიურ ბაზაზე ჩამოყალიბდეს მინის სახელმწიფო რეზერვი (მარაგი). ეს ობიექტური აუცილებლობაა, თუნდაც რთული ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით (დათობა, სტიქიური მოვლენები და ა.შ.).

- მინის რესურსების გამოყენების დაგეგმვისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბიოფიზიკური, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განხილვას, შეფასებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მინისა და წარმოების სხვა ფაქტორების ურთიერთკავშირების სწორად ახსნას. ჩვენი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, უყურადღებოდ დარჩა მინის ეფექტიანობის ამაღლებაზე წარმოების სხვა ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელობა. ახსნილი არ არის, თუ როგორია მათი ურთიერთმოქმედების პრინციპები, ხასიათი, რესურსული პოტენციალი და როგორ მონაწილეობენ ისინი მინის ეფექტიანად გამოყენებაში არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაგმატული მნიშვნელობითაც. წარმოების ფაქტორებად მეცნიერებასა და პრაქტიკაში იგულისხმება ის მამოძრავებელი ძალა, წარმოების პროცესის განსაკუთრებულად მნიშვნე-

ლოვანი ელემენტი (ობიექტი), რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს წარმოების ხასიათზე და შედეგებზე. ტრადიციულად წარმოების ფაქტორებს მიეკუთვნება მიწა, შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. აღმოჩნდა, რომ ყველა დასახელებულ ფაქტორს, რომელიც დოვლათის წარმოებაში მონაწილეობს, არაეფექტიანად ვიყენებთ. მიწის რესურსები აღრიცხულიც არ არის, კაპიტალი არ არის საკმარისი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, სამუშაო ძალა არაკვალიფიციურია, მენარმეობრივი საქმიანობის ხელსაყრელი გარემო შექმნილი არ არის, ინტეგრირებული ცოდნა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის რთული ამოცანების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს. ასეთ სიტუაციაში, როცა წარმოების ფაქტორები არარაციონალურად გამოიყენება, მათზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, ბუნებრივია, არაეფექტიანია.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, წარმოების არც ერთ ფაქტორს, სხვებისგან მოწყვეტით, არ შეუძლია უზრუნველყოს კვლავწარმოების სტაბილურობა, ამიტომ საჭიროა მათი ოპტიმალური კომბინაცია (მიზანმიმართული ინტეგრაცია). გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარმოების ფაქტორებიც შეზღუდულია, ეს მაშინ, როცა ადამიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები მუდმივად იზრდება. აქედან გამომდინარეობს დასკვნაც: მიწის რესურსების გამოყენებასა და ინტეგრირებულ მართვაში აუცილებელია ფაქტორებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოვლენა, მათი ტენდენციების სწორად ახსნა და შესაბამისად, მათი ერთობლივად გამოყენების პირობების განსაზღვრა.

- მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვისას აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება, კომპლექსურად შესწავლა იმ მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობეს: მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების (განსაკუთრებით ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების) შემცირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, კადრების დისკვალიფიკაცია, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის უცხოეთზე დამოკიდებულება (ქვეყნის შიდასასურსათო ბაზრის 70-75% ამჟამად იმპორტირებულ პროდუქციას უკავია). უნდა განხორციელდეს იმპორტიჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების „მობილიზაციური პროექტი“, რომელიც მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ზემოთ აღნიშნული გენერალური სქემის მიხედვით შემუშავდება.

- მიწათმონყობის საფუძველზე, თანამედროვე პირობებს მორგებული მიწის რესურსების გამოყენების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის სისტემის შექმნა ობიექტურად ჩამოყალიბებული მოთხოვნაა. სხვანაირად, სახელმწიფო საკუთარი ფუნქციებს ვერ შეასრულებს. განვიხილვა 30-მა წელმა გვიჩვენა, რომ განვითარების პროგნოზირება, დაგეგმვა - განსაკუთრებით სახელმწიფოს დონეზე - ის გამოცდილი მექანიზმია, რომლის

რაციონალური გამოყენებით ქვეყნის დაბალანსებული განვითარება მიიღწევა. ეს თანამედროვე განვითარებული ქვეყნების (აშშ, ევროკავშირი, კანადა) მაგალითზეც დასტურდება.

სახელმწიფო პროტექციონიზმი მიწის რესურსების მართვის სისტემაში

თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პროცესების განვითარების ფონზე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის როლისა და სრულყოფის საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა.

კვლავაც, მაგრამ უფრო მწვავე ფორმით თანამედროვე ბაზრის გაგების ორ მიდგომას შორის წინააღმდეგობები იზრდება. პირველი მიდგომა ემყარება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების თეორიულ დოქტრინას, რომელიც კეინსის სახელს უკავშირდება და თვლის, რომ ბაზარზე მთავარ როლს სახელმწიფო რეგულირება ასრულებს, შესაბამისად, ერთიანი მოთხოვნის სტიმულირება და მეორე - მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან წამყვან დოქტრინად აღიარებული, ჰაიეკისა და ფრიდმანის შეხედულებებზე დაფუძნებული ნეოლიბერალური მოდელი, რომელიც უპირატესობას კერძო ინიციატივას და ბაზარს (მიწოდების სტიმულირებას) ანიჭებს. ამ მოდელის მიხედვით მიჩნეულია, რომ სახელმწიფო რეგულირება ეკონომიკურ ზრდას აფერხებს.

ორივე მიდგომას ჰყავს როგორც მომხრენი, ასევე მოწინააღმდეგენიც. მსოფლიო ორივე მოდელის ძლიერ და სუსტ მხარეებს კარგად იცნობს.

თითქმის 5 საუკუნეზე მეტია, მეცნიერებასა და პრაქტიკაში (ისტორიული განვითარების ეტაპების თავისებურებების შესაბამისად) განიხილება სახელმწიფო პროტექციონიზმი, როგორც ეკონომიკის განვითარების რეგულირების ფორმა (ინსტრუმენტი).

დღესაც, მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროტექციონიზმი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის (როგორც ნაციონალური ეკონომიკის დაცვის ფორმა) განვითარებას, მაშინ, როცა ნეოლიბერალური მოდელი (თავისუფალი ვაჭრობა) ანგრევს ნაციონალურ ეკონომიკას, განსაკუთრებით - თუ იგი სამრეწველო განვითარების დონით ჩამორჩენილ ქვეყანაში გამოიყენება.

პროტექციონიზმის რამდენიმე სახეობა არსებობს. მათ შორისაა:

- „შერჩევითი პროტექციონიზმი - კონკრეტული საქონლის დაცვა, ან კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ;

- დარგობრივი - კონკრეტული დარგის დაცვა;

- კოლექტიური - ურთიერთდაცვის მიზნით რამდენიმე ქვეყნის კავშირი;

- ფარული პროტექციონიზმი - არასაბაჟო მეთოდების გამოყენება. ამას ემატება პროტექციონიზმის თანამედროვე სახეები:

- ადგილობრივი პროტექციონიზმი - ადგილობრივი კომპანიების პროდუქციისა და მომსახურების პროტექციონიზმი და მწვანე პროტექციონიზმი - ეკოლოგიური სამართლის ნორმებზე ორიენტირებული პროტექციონიზმი“.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფო პროტექციონიზმი რთული ფენომენია და მოიცავს მისი შიდა ალტერნატიული ფორმების (სახეების) გამოყენების დიდ პოტენციალს. კლასიკური გაგებით, იგი განიხილებოდა, როგორც ეროვნული ეკონომიკის იმპორტისაგან დაცვა (ძირითადად საგარეო ვაჭრობის სფერო). ბოლო 50 წლის მანძილზე გლობალური პროცესების ინტენსიფიკაციის მასშტაბებმა გააფართოვა არა მხოლოდ საქონლის ნაკადის, არამედ კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობაც. ეს თავისებურება დომინირებადი იყო სოციალისტური ბანაკის დაშლამდეც. მაშინ სახელმწიფო პროტექციონიზმი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიკური სისტემის საზღვრებით შემოიფარგლებოდა. ორივე სისტემა პროტექციონიზმს, როგორც განვითარების პროცესების (სტრატეგიის) რეგულირების ინსტრუმენტს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში რადიკალური (თვისებრივი) ცვლილებები მოხდა. ორი პოლუსიდან ერთი, საბჭოთა იმპერია, ასპარეზიდან გავიდა. დასავლეთმა (აშშ) ჰეგემონური როლით მსოფლიოს მართვა ერთი ცენტრიდან დაიწყო. ბუნებრივია, ასეთ ცვლილებებს თან ახლდა პროტექციონიზმის შინაარსის ცვლილებებიც. მსოფლიოში განვითარების ლიბერალური მოდელი დომინანტი გახდა. ასეთი გამოწვევების შესაბამისად პროტექციონიზმი კლასიკურ საზღვრებს გასცდა და მთლიანად ნაციონალური ეკონომიკის ახალი სისტემის (საბაზრო) ფორმირების პროცესიც მოიცვა. განვითარებული ქვეყნების ინტერესებს მორგებული საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების (სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ.) რეკომენდაციებს, თუ როგორი უნდა იყოს მეორე სამყაროს (სოციალისტური სისტემის) ქვეყნების საბაზრო მოდელი, საფუძვლად დაედო არა კონკრეტული ქვეყნის თავისებურებები, ტენდენციები, არამედ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ჩამოყალიბებული მოდელი, როგორც ყველა ქვეყნისათვის ერთ თარგზე გამოჭრილი. კატეგორიულ „რეკომენდაციებს“ თან ახლდა გავლენის შესაბამისი მექანიზმის გამოყენება. მაგალითად, სავალუტო ფონდის შუამდგომლობის გარეშე კრედიტორები და ინვესტორები კაპიტალს ამა თუ იმ ქვეყანაში არ აბანდებდნენ. ეს პროცესი რეგულირებადი იყო. ერთი მხრივ, პარალიზებული ეროვნული მეურნეობა, მეორე მხრივ, სახსრების უკმარისობის პირობებში ფინანსური დახმარების მიღების პერსპექტივა გარედან შემოთავაზებული მოდელის დანეგირის ვალდებულებებზე იყო დამოკიდებული.

ასეთია ქართული რეალობა, თავისი ხილული (რაც გაცნობიერებულა) და უხილავი თავისებურებებით. ერთ რამ ცხადია: პროტექციონიზმი, როგორც ასეთი, რეალობის (სისტემური კრიზისის) თვისებრივად შეცვლის შემომწებელი ინსტრუმენტია და მისი საჭიროებისამებრ (როგორც დროებითი მოვლენის) მიზანმიმართული გამოყენება ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ამოცანებით განისაზღვრება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ 21-ე

საუკუნეში მიმდინარე პროცესების წინააღმდეგობრივი ხასიათი (ხშირად ურთიერთგამომრიცხავი პროცეს-შენაკადები) ადასტურებს, რომ დღემდე არსებულ არცერთ ეკონომიკურ თეორიას, მეთოდოლოგიას (რომელიც პოზიტიურად დაფიქსირდა) არ ძალუძს, თვისებრივად შეცვალოს განვითარება. საჭიროა ახალი გამოწვევების ობიექტურად გაცნობიერება. ამ თვალსაზრისით უნიკალურია პრაქტიკა, რომელიც საქართველოში საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბდა. ჩვენ ადრე გამოვცადეთ თუ რას ნიშნავს ეკონომიკური მოდელი, რომელიც სახელმწიფოს როლის გაფეტიშებით ემსახურებოდა სწორად განსაზღვრულ სტრატეგიულ ამოცანას - მთელი საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მიუხედავად მისი ნაკლოვანებებისა, მან შექმნა ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების არნახული ტემპებით განვითარების პირობები და ჩამორჩენილი ქვეყანა ტრანსფორმაციის (სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალების) ფართო გზაზე გაიყვანა; მოდელის ცალმხრივობის გამო (კერძო ინიციატივის იგნორირება) ვერ მოხერხდა ეფექტიანი ეკონომიკის შექმნა, თუმცა ობიექტურად შექმნილმა ისტორიულმა გარემოებებმა ხელი შეუშალეს მისი პოტენციალის სრულად გამოყენებას. ეს მაშინ, როცა ცალკეული მიმართულებებით (კოსმოსის ათვისება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა.შ.) მსოფლიოს ახალი სტანდარტები შეიქმნა.

რა გვაქვს დღეს აღნიშნული სოციალისტური მოდელის სანაცვლოდ? სახეზეა ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია, განათლების, მეცნიერების განვითარების ადრე მიღწეულთან შედარებით დაბალი დონე (30 წლის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკა კვლავწარმოების შეკვეცილი ფორმით ფუნქციონირებს), ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი რისკი, სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და დემორალიზებული ეკონომიკა, რომელიც საზოგადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის კერძო ინტერესებს ემსახურება. ამასთან, დაფიქსირდა პოზიტიური შედეგებიც: ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა, განვითარების რესურსებთან წვდომა, საერთაშორისო პროექტებში („ტრასეკა“, ენერგეტიკული დერეფანი) აქტიური მინაწილეობა, კერძო საკუთრების (როგორც მოტივაციის წყაროს) განვითარება (თუმცა ჯერჯერობით არაეფექტიანად გამოიყენება), საერთაშორისო სტრუქტურებში წარმომადგენლობა და სხვ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნულ ორივე მოდელს აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეები.

ასეთ სიტუაციაში ლოგიკურია შემდეგი დასკვნაც: რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ნეოლიბერალური მოდელები, ასევე ხშირად განსხვავებული შეხედულებებით გამორჩეული დოქტრინებიც ცალმხრივად ასახავს რეალურ სინამდვილეს, რომელიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს. ამიტომ, მთავარია რეალობის ობიექტური, მისი მრავალმხრივი თავისებურებების (განზომილებების) და მიმდინარე გლობალური თუ ლოკალური პროცესების (მოვლენების) ურთიერთკავშირებისა და ურთიერთმოქმედების

ანალიზი და შეფასება. ამ თვალსაზრისით საჭიროა ინტეგრალური მიდგომის საფუძველზე სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება და მიზნობრივი პროგრამებით მათი რეალიზაცია. ინტეგრალურ მიდგომას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი იძლევა საშუალებას, მოვლენა კომპლექსურად, მისი მრავალფეროვნების, დივერსიფიცირებულობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, გარე და შიდა ფაქტორების თავისებურებათა გათვალისწინებით განიხილებოდეს. ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების მიმდინარეობის 30 წლიანი გამოცდილების ჩვენეული ანალიზი ადასტურებს, რომ ქვეყანას სჭირდება „გარღვევის სტრატეგია“, რომელზეც დაფუძნებული „მოზილიზაციური მოდელი“ კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად განისაზღვრება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და ნეოლიბერალური პრინციპების ოპტიმიზაციის საფუძველზე.

ასეთია თანამედროვე გამონეგვების ლოგიკა. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მოდელიც მისი მოთხოვნების შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონიზმის საკვანძო ობიექტად უნდა მივიჩნიოთ მიწის რესურსების (ფართო გაგებით) რაციონალურად გამოყენებისათვის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნის პროცესი, რაც თანამედროვე მსოფლიოში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემად განიხილება. ამიტომ ამ პროცესში საგარეო ფაქტორმაც (პროტექციონისტული მიდგომა) წამყვანი როლი უნდა შეასრულოს (მეგა, მეზო და ლოკალური პროექტების მიზნობრივი მხარდაჭერა, მონიტორინგი, სამართლებრივი და ეკონომიკური სტიმულირების ინსტრუმენტების გამოყენება, კოორდინაცია და ა.შ.).

„გარღვევის სტრატეგიის“ ანხორციელებისთვის საჭიროა:

პირველი. თვისებრივად შეიცვალოს სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა. დღემდე ეროვნული ეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელის საფუძველზე ფუნქციონირებამ აჩვენა, რომ ცალმხრივი მიდგომის გამო, იგი ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანას ვერ შეძლებს. იგი უნდა შეიცვალოს. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებით მისი ჩანაცვლებაც სასურველ შედეგს ვერ უზრუნველყოფს. აუცილებელია მათი ერთობლივად გამოყენება (სიმბიოზი). კერძოდ, იმპორტჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქციის ზრდაზე ორიენტირებული სტრატეგიების ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე მიზნობრივი პროგრამებით განხორციელება. ამით მიიღწევა ქვეყნის რესურსული პოტენციალის, პირველ რიგში, მიწის რესურსების - ნიადაგის, წიაღისეულის, რეკრეაციული, ტყის, წყლის რესურსების მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად გამოყენება. ეს კი ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საბაზრო პრინციპებზე ფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლებას უწყობს ხელს; ამასთან, ღია ეკონომიკის პირობებში მიწის რესურსების კომპლექსური ათვისება ინტეგრაციულ პროცესებში აქტიური ჩართვით შრომის

დანაწილების ოპტიმიზაციის, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ორგანიზაციულ ხელშეწყობ გარემოს აყალიბებს.

მეორე. სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის პრინციპების კომპლექსურად, ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობის საფუძველზე ფართოდ გამოყენება რესურსული პოტენციალის ყველა მხარის ობიექტურად გაცნობიერებას და მათი განსაზღვრისა და რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების დივერსიფიცირებულად გამოყენების საფუძველს ქმნის.

მესამე. მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენება საგადაზღვეო ბალანსის გაჯანსაღების წინაპირობაა. მთავარია ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია. იმპორტის, არა როგორც ახლანდელი, სამომხმარებლო მიმართულება, არამედ ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, ექსპორტში გადამუშავებული პროდუქციის და არა ნედლეულის გატანა, ტურიზმის განვითარების მასშტაბების გაფართოების უპირატესად ადგილობრივი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფა და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციამ, რომელიც, როგორც აღინიშნა, ნეოლიბერალური მოდელისადმი ერთგულებით მივიღეთ, დღის წესრიგში დააყენა ნეოინდუსტრიალიზაციის სტრატეგიული ამოცანა. მსოფლიოში შექმნილ პოსტ-პანდემიურ პერიოდში ამ ახალ გამოწვევებზე ყველაზე რეალური პასუხია ქვეყნის რესურსული პოტენციალის (განსაკუთრებით მიწის რესურსების), რაციონალურად გამოყენება.

ახალმა გამოწვევებმა (განსაკუთრებით კორონა ვირუსით გლობალურ სივრცეში გამონეგვულმა სირთულეებმა) გვიჩვენა, რომ სახელმწიფო პროტექციონიზმი ინტერნაციონალური ბუნებისაა. სამყარო უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მასზე არსებული წარმოდგენები, განსაკუთრებით ეს ეხება სამყაროს განვითარების ეკონომიკურ კომპონენტს. მდგრადი (სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური) განვითარება მართვის ცენტრალური რგოლის გამოყოფით და არსებული რესურსების საკვანძო მიმართულებებზე კონცენტრაციის გზით უნდა წარიმართოს.

პროტექციონიზმი, როგორც დღეს გვაქვს წარმოდგენილი, თავისი შინაარსით არ არის გლობალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მოვლენა (რეგულირების ფორმა) და არც მხოლოდ ნაციონალური ეკონომიკის გარედან დაცვა.

მსოფლიოში მიმდინარე წინააღმდეგობების ფონზე მომავალში გაიზრდება ნაციონალური სახელმწიფოს როლი ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებაში, მას შეექნება პირობები, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გამოიყენოს როგორც შიდა რესურსები, ასევე სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების პოტენციალიც.

მაგალითად, ეროვნული ინტერესების გათვალისწინ-

ნებით ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ ფინანსური სტაბილიზაციის (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია), ეკონომიკური ზრდის (მსოფლიო ბანკისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების პოზიცია), ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურისა და ვაჭრობის სრულყოფის (ვმო პოზიცია), დასაქმების რეგულირების (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიცია) ფინანსური და ორგანიზაციული ინსტრუმენტები; ამჟამად ისინი მონაწილეობენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ არა ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს არა აქვს შიდა და გარე ფაქტორებზე დაფუძნებული არსებული რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების სტრატეგია, ანუ განსაზღვრული არ არის ჯაჭვის ის რგოლი, რომლის ამოწვევითაც ეკონომიკის განვითარების ხელსარელი პირობები შეიქმნება. სწორედ ასეთ დროს, როგორც ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, გამოიყენება ე.წ. „მობილიზაციური მოდელი“, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული მიზნის განხორციელებას დაეკვემდებაროს არსებული რესურსული პოტენციალი (არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი და სხვ. რესურსები). იგი თავად მოიცავს ინოვაციურ განვითარებას, სახელმწიფოს მამობილიზებელ ფუნქციას, პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას.

„მობილიზაციური მოდელის“ უარყოფით მხარედ თვლიან იმას, რომ იგი მნიშვნელოვნად ზღუდავს მავანთა ინტერესებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ასეთი მოდელი გამოიყენება ექსტრემალურ პირობებში (სისტემური კრიზისის პირობებში), როცა ყველას ინტერესები ზიანდება, თანაც დიდი ხნის მანძილზე (ეროვნული ეკონომიკა 30 წლის მანძილზე კრიზისულ სიტუაციაშია). ცაიტნოტში ვართ. ისტორიულ განვითარებაში ჩამოვრჩით. ჯადოსნურ წრეში აღმოვჩნდით. ვმოძრაობთ ძირითადად ადგილზე, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, მაგრამ წინ ვერ მივდივართ (ეკონომიკური ზრდა (რაოდენობრივი) ვერ უზრუნველყოფს განვითარებას). ამ ჯადოსნური წრიდან უნდა გამოვიდეთ. ეს არ არის რთული, მაგრამ საით და როგორ უნდა წავიდეთ, სწორედ ამის განსაზღვრაა მთავარი. ჩვენი აზრით, არსებული რესურსული, ინტელექტუალური და გეოეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაზე უნდა ავაგოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია. მისი რეალიზაციის მექანიზმში მიზნის რესურსების რაციონალური გამოყენება. გარე და შიდა რესურსების კონცენტრაცია ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ „მობილიზაციური მოდელი“, მხოლოდ დროებითი მოვლენაა და იგი ეკონომიკურ განვითარებაში წონასწორობის აღდგენისათვის უნდა გამოვიყენოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Управление земельными ресурсами в Европе. Тенденции развития и основные принципы. Организация объединенных наций. Нью-Йорк-Женева. 2005 г;
2. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს.), თბილისი, 1991 წ.;
3. საქსტატი, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/70/soflis-meurneoba-da-sasursato-usaftrkheoba>;
4. ა.მესხიშვილი. უძრავი ქონება, თბილისი, 2011 წელი;
5. ო.ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. თბილისი 2009 წელი;
6. საქართველოს კანონი „ნიადაგების დაცვის შესახებ“. 1994 წლის 19 მაისი;
7. Т.Ф.Урушадзе. В.Блюм. Почвы Грузии., тб., 2014 г.;
8. ნ.ტურაბელიძე, ნ.ბერიძე. მიწის რესურსების მართვა. სახელმძღვანელო, თბილისი, 2013 წელი;
9. Генеральная схема противоэрозийных мероприятий Грузинской ССР на 1981-1990 годы и на период до 2000 года. Тбилиси., 1987 г.;
10. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი, 2009 წელი;
11. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. Профессиональная и сельскохозяйственная организация объединенных наций. Рим., 2018., fao.org/3/593724;
12. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგიები., თბილისი 2018 წელი;
13. ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება), II ნაწილი, თბილისი, 1999 წელი;
14. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა. ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი;
15. Европейская экономическая комиссия, Женева. Управление земельными ресурсами в Европе, тенденции развития и основные принципы. ООН Нью-Йорк-Женева., 2005 г.;
16. tao.org/3/a-y49545.pat. Разработка концепции экспериментальных проектов консолидации земель в центральной и восточной Европе. рим., 2005 г.;
17. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г.